# ცისკარი.

**1865**

იანვარი.

## წელიწადი მეცხრე.

წოდება თხზულებათა:


I—1, საბრალონი. ვიკტორ ჰიუგოს რომანი. გ. დიდებულიძისა.
II— (ლექსები.) 1, უძღჳნი სარაჯ. კიკოლას. დიმ. ბერიევისა.—
2, თერგისა და არაზის საუბარი. ივანე სომხიევისა.—
3, მთანი მაღალნი. . . . თ. გრიგოლ ორბელიანისა.—
III—დალმატის იანკოს ცხოვრება. გ. დიდებულიძისა.
IV—სხჳა და სხჳა ანბავი.(იხილე მეორე გვერდზედ)


---

ტფილისს.


კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ცისკარი.

ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

გამოიცემა ივ. კერესელიძისა-გან.

იანვარი.

წელიწადი მეცხრე.

«თუ შეიყვარო სმენად,—მიიღო და უკეთუ მიუპყრა ყური შენი,—ბრძენ იქმნე» (წიგ. ისო ზირ. თავი 6 მუხ. 34)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1865.

Дозволено цензурою. 1865 г. 18. Января.

# საბრალონი.

## დასასრული.

ჟანვალჟანი და კოზეტა ჩამოხდნენ თვით მიყრუებულსა და განმარტოებულს პარიჟის ნაწილში, სადაც ჟანვალჟანსა ჰქონდა წინდაწინ ნაქირავები ერთი პატარა ქოხსავით ოთახი, როდესაც ისინი გაჩერდნენ იმ სახლის წინა, ამოიღო ჟანვალჟანმა ჯიბიდამ გასაღები, გააღო კარი, მერე დაკეტა ისევ, მოჰკიდა ხელი კოზეტასა და აიყვანა კიბეზე.

როდესაც ისინი ავიდნენ ზემოთ, იქ ჟანვალჟანმა ამოიღო მეორე გასაღები და გააღო მეორე კარი. იმ ოთახში, რომელშიაც ისინი შევიდნენ, და რომლისაც კარები მაშინვე საჩქაროთ შიგნიდამ ჩაიკეტეს, იდგა ერთი კრაოტი თავისის დოშაკებითა, რამდენიმე სკამი, კუთხეში იდგა ერთი პატარა სტოლი.

ჟანვალჟანმა მიიტანა ბავშვი და დასდო კრაო-

ტზე ისეთის სიფრთხილით რომ იმას არ გამო-ღჳძებია.

მერე აანთო სამთელი მივიდა კარებთან, დაუწ-ყო იმას ყურება და მოვიდა აღტაცებაში. იმის სახეზედ იყო მაშინ გამოხატული საკუთარი ლმობიე-რება და კეთილსულობა. პატარა ქალსაც ეძინა იმ გულის ძილით, რომელიც შეჰფერებს ანუ გარ-დამატებულს უმღურებასა. ის განაგრძობდა დაწყნა-რებულს და მოსვენებულს ძილსა არა მცოდნე თუ სად იყო, ანუ ვისთან ეძინა მაშინ იმასა.

ჟანვალჟანი დაეყუდა და აკოცა კოზეტას ხე-ლზე. ცხრა თვეს წინეთ ჟანვალჟანმა აკოცა ხელზე იმ ბავშვის დედას, რომელმაც მაშინ საუკუნოთ მიიძინა.

იმისი გული მაშინაც სავსე იყო ნაღვლიანის გრძნობეებითა.

ბოლოს გათენდა. როდესაც დეკემბრის მზის შუქი შევიდა ოთახის ფანჯრებში კოზეტა ისევ განაგრძობდა ტკბილ ძილსა, იმ დროს უცებ გაი-არა ქვებით მოკირწყლულს ქუჩაში დადებულმა კა-რეტამა და როგორც ქუხილმა, ისე შეანძრია ის ქოხი.

--ეხლავ, ქალბატონო, წამოიძახა ძილში კოზ-

ზეტამ, მერე წამოხტა ზეზე და თვალ დახუჭვი-ლმა გაიშჳრა ხელი კედლის კუთხისკენ.

რა იქმნა ის ჩემი ცოცხი? სთქუა კიდევ იმან ისევ ბურანში, მერე გაახილა თვალი და დაინახა მხიარული მღიმარე სახე ჟანვალჟანისა.

--მე ისევ იქ მეგონა ჩემი თავი! სთქუა კოზ-ზეტამ. მერე მიუბრუნდა მოხუცსა და უთხრა: დილა მშჳდობისა ბატონო!

პატარა ბავშვები მრიელ ადჳლათ შეეთჳსებიან ხოლმე თავის ახალ მდგომარეობასა ბედნიერებასა, და სიხარულსა, რადგან თჳთ ისინიც შეადგენენ სიხარულსა და ბედნიერებასა.

მერე კოზზეტამ დაინახა პოლზე თავისი კატო, მივარდა მაშინვე, აიღო, დაუწყო კოცნა და თამაში და იმასთანვე აძლევდა ჟანვალჟანს მრავალს სხვა და სხვა კითხვებსა: სადა ვართ ესლა, დიდიაო პარიჟი შორს არიან ესლა ჩუენზე ტენორდიებიო, ხომ აღარ მოვლენო ახლა აქ ისინიო და სხ.

ბოლოს მიიხედ-მოიხედა და სიხარულით წა-მოიძახა: ახ, რა კარგი სახლია, ჩუენი სახლი! თუმცა ის ოთახი ჰგავდა სოროსა, მაგრამ იმ სო-როში უცხო კეთილის მეოფელთან კოზზეტა გრ-

გრძნობდა მეტს ნუგეშსა და თავისუფლებას, ვინემ ტყენორდიეთ ტრასტირის საძაგელ ზალებში.

—ნებას მომცემი ჰოლი დავჯდე? ჰკითხა იმან ბოლოს ჟანვალჟანსა.

—შენ ეთამაშე შენ დედოფალსა, უთხრა აღტაცებით ჟანვალჟანმა.

მთელმა დღემ გაიარა ამ სახით. კოზეტას სრულებით ფიქრში არ მოსდიოდა შეეტყო თუ რა რიგათ შეიცვალა იმისი მდგომარეობა, და გრძნობდა მხოლოდ ერთსა: რომ ის იყო გამოუთქმელათ ბედნიერი იმ მშვენიერს დედოფალსა და კეთილის მოხუცის შუა.

მესამე დილაზედაც ჟანვალჟანი იდგა უმრავლეს ისევ კოზეტას კრაოტის გვერდითა და ელოდა ვინემ ის გამოიღვიძებდა.

რაღაც რამ ახალი გამოუთქმელი გრძნობა აღელვებდა მაშინ ჟანვალჟანის სულსა.

ოცდა ხუთი წელიწადი ჟანვალჟანი იყო მარტო ქვეყანაზე და არ იცოდა თუ რა იყო სიყვარული, ამიტომ, რომ ის არა ყოფილა არავისი არც მამათ, არც ქმრათა, არც მეგობრათ და არც მოარშიყეთ. საპყრობილეში ის იყო დაღვრემილი,

ნაღვლიანი, უბიწო, ველური და სუტი. გული იმ ბებრის კარტოჟნიკისა იყო სავსე უმანკოებითა. თავისი და, დისწულები ახსოვდა იმას რაოდენსამე ხანსა, და მერე სრულებით ამოიფხვრა იმას მეხსიერებიდამ იმათი სახსოვარი. როდესაც ის დაბრუნდა საპყრობილედამ, ყოვლის ღონის ძიებით ცდილობდა ეპოვნა როგორმე ის სახლობა, და როდესაც სრულებით ვერა გაიგო რა იმათი დაავიწყდა ისინი: ასეთია კაცის ბუნება! სხვა ნაზნი სიჭაბუკის ღელვანი, თუ რომ ოდესმეკი გამოუცდია იმას დაიღუპნენ იმისთვნკი ღრმა უფრსკულში.

როდესაც ახლა იმანა ნახა კოზეტა, მოსტაცა ის მგლებსა და წაიყვანა თავისთან და იმით განათავისუფლა იმათგან, მაშინ იმან იგრძნო ძლიერი შინაგანი ღელვა ყოველივე, გრძნობა, რომელიც კი იმას დარჩებოდა გადავიდა მაშინ იმ პატარა ერმაზე. ის მივიდოდა სოლმე იმის კრაოტთან, როცა იმას ეძინა და თრთოდა სიხარულით იმის გვერდზე; ის გრძნობდა ანუ სცდიდა მამობრივს საგრძნობელსა თუმცა არ ესმოდაკი თითონაც ეს გრძნობა, ამიტომ რომ მრავალი რამ არის მიუწთომელი და სატკბო დიდსა და მიუწთომელს

იმ კაცის გულის მოძრაობაში, რომელიც პირვე-ლათ სცდის სიყვარულსა.

საცოდავი მოხუცის გული, უცებ გაუმაწჳლდა და განახლდა, და რადგანაც ჟანვალჟანი იყო თითქმის სამოცის წლისა და კოზეტა მხოლოდ რვა წლისა, მაშ სრული სიყვარული იმისი გადავიდა რაღაც ნაირს აუწერელს ელვარებაში. ეს იყო მეორე მნა-თობიერი გამოცხადება, რომელსაც ჟანვალჟანი შე-ეყარა თავის სიცოცხლეში. როდესაც პირველათ ის შეეყარა ეპისკოპოზსა მარავანდელზე გაიელვა და აენთო განთიადი სათნოებისა, და როდესაც შეხვდა კოზე-ტასა, მაშინ იმან იგრძნო გამოუთქმელი გრძნობა სიყვარულისა. პირველმა დღეებმა განვლეს ამ გვარს ტკბილ გრძნობაებში.

კოზეტაც თავისის მხრით ყოველ წამ შეიქ-მნებოდა სრულებით სხვა არსებათ, თუმცა თითონკი ვერ ატყობდა ამასა. როდესაც ის დედას დამორ-და, იყო ისე პატარა, რომ სრულებით აღარ ახ-სოვდა ამასა. ვითარცა სხვა ყველა პატარა ბავშვსა, უნდოდა იმასაც გამოეცადნა სიყვარული, მაგრამ ამაო იყო იმისთჳს ცდა ამისთჳს, რომ როგორც თჳთ ტენორდიები და იმათი ქალები, ისე სხვები

ეკიდებოდნენ იმასა სრულის შეურაცხებით. იმას უუვარდა მხოლოდ ერთი პატარა ლეკვი, როდესაც ის მოუკუდა საცოდავ ბავშვსა, მაშინ, თუმცა ძნელი სათქმელი კია ეს რვა წლის ბავშვზე, მაგრამ უნდა გამოვსტუდეთ, რომ იმას გაუგრილდა სრულებით ყოველსავეზედ გული, თუმცა ამისი მიზეზი ის თითონ სრულებით არა ყოფილა, ამისთჳს პირველის დღიდგანვე იმან შეიყვარა მთელის სულით და გონებით ის კეთილი მოხუცი უცხო კაცი და გამოსცადა გულში ის, რაც თავის სიცოცხლეში არ გამოუცდია, ესე იგი გრძნობა სისარულისა.

პირველათ ქანვალჟანი იმას ეჩვენა მრიელ მოხუცათ და უსახო კაცათ. ახლა ის ეჩვენებოდა იმას თითქმის ყმაწჳლათ და ლამაზ კაცათ.

აი ასეთნი არიან ნაყოფნი განთიადისა, სიყმაწჳლისა და სისარულისა. არაფერი არა არისრა ქვეყანაზე უმშჳნიერეს ბედნიერების სხივისა, რომელსაც ის სხივი ანათებს თჳთ ღარიბს ქოხში. ყოველს ჩჳნგანს გამოუცდია თავის წარსულში იმ გვარი სხივი. ბუნებამ და წლოვანებამ თუმცა დიდი სივრცე დასდვეს ჟანვალჟანსა და კოზეტას შუა; მაგრამ ეს სივრცე შეავსო, გაასწორა იღბალმა,

მოულოდნელათ შეაერთა თავისის უმლე-ველის უფლებით ეს ორი არსებობა, ფესვიანათ ამოთხრილნი, ჭასაკით განყოფილნი მსგავსნი ერთ-მანერთის მხოლოდ საზოგადო უბედურობით. ალღო (**Инстинктъ**) კოზზეტასი ემებდა მამასა, და ალღო ქანვალქანისა ასულსა. იმ საიდუმლო წამში როდე-საც იმათი ხელები ერთმანერთს შეეხნენ, ისინი შეიქმნენ შეერთებულნი საუკუნოთ. როდესაც შეიყა-რნენ ეს ორნი სულნი, მიხვდნენ მაშინვე, რომ ისინი იყვნენ ერთმანერთისათჳს მიუცილებელნი და მიჭყუდეს მაშინვე ერთმანერთს მკერდი.

ქანვალქანმა აირჩია მრიელ უფიქრელი და უში-შარი ბინა. ოთახსა, რომელშიაც ის დაბინავდა კო-ზზეტითურთ, ფანჯარა ჰქონდა მიქცეული ბულვა-რისაკენ, და რადგან იმის მეტი ფანჯარა იმ ოთა-ხს არა ჰქონდა, ამისთჳს არაფრის ფიქრი იმას არა ჰქონდა რა მეზობლების მხრით, რადგან ისი-ნი იმათ ვერაოდეს ვერ დაინახავდნენ.

ქვემო ეტაჟა იმ სახლისა იყო რაღაც მსგავსი სარაიისა, და იმასთანავე მსახურებდა საკუჭნაოთ მებაღეთა. იმას არა ჰქონდა არა ვითარი შეერთე-ბა მაღლა ეტაჟთან. ის იყო მოშორებული ზემო

ეტაჟაზედ ჰოლით, რომელშიაც არ იყო არც კიბე და არც დამალული კარები. ზემო ეტაჟაში იყო რამდენიმე ოთახი და რამდენიმე ჩარდახი, რომელთაგანაც ერთი ეჭირა მოხუცს დედაკაცსა, რომელიც ყურს უგდებდა ქანვალჟანის ავეჯეულობასა და სხვები კი იყვნენ სრულებით ცარიელები.

ეს იყო ის მოხუცი ქალი, რომელსაც თუმცა უწოდდენ უმთავრეს იქ მცხოვრებათ, მაგრამ ნამდვილათ კი ის ასრულებდა სახლების ყურის მგდებელის ვალდებულებასა. შობის წინა დღეს ჟანვალჟანმა იმ დედაკაცისაგან იქირავა ის ოთახი და გამოუცხადა მაშინვე რომ, ის არის კაცი ნამდვილი, ისპანიელებისაგან აკლებული და სდგება იმ ოთახში თავის შვილის-შვილით ჰატარას ქალით. იმან მისცა ქირა ექვსის თვისა წინდაწინ და დაუბარა, რომ მოეწყო ის ოთახი საჭირო მებელით. აი ამ მოხუცმა ქალმა, იმ დღეს, როდესაც ისინი შევიდნენ იმ ოთახში, გაათბობინა ის ოთახი, და მოამზადებინა ყოველივე საჭირო.

განვლო რამდენმამე კვრამ რაც ის ორი არსება ატარებდა ცხოვრებას იმ ღარიბს ოთახში.

კოზეტა დილიდამ მოყოლებული იცინოდა,

ტიკტიკებდა და იმღერდა. პატარა ბავშვსაცა აქვს თავისი დილის სამღერალი, როგორც ფრინველებსა.

ხანდისხან ქანვალჯანი გამოართმევდა ხოლმე იმას ყინვისაგან გაწითლებულს და დამწვარს ხელსა და დაუწყებდა ხოლმე კოცნასა. კოზეტას, რომელსაც ცემის მეტი არა გამოუცდია რა, სრულიად არ ესმოდა თუ რას ნიშნავდა ესე, სირცხვილით გაწითლებული გაჰქცევოდა ხოლმე ჩარდახზე.

ხანდახან კოზეტა შეიქნებოდა ხოლმე დაფიქრებული, და დაუწყებდა ხოლმე სინჯვასა, თავისს ძველს ტანისამოსსა. მაშინ ის გრძნობდა, რომ უწინდელსავით აღარ იყო ის ჩაცმული ძონძებით, გრძნობდა, რომ წვრილ-წვრილათ გამოდიოდა სიღატაკიდამ და შედიოდა ახალს ცხოვრებაში.

ქანვალჯანმა დაუწყო კოზეტას სწავლება წერა კითხვისაც. თჳთ იმან ისწავლა წერა კითხვა, როდესაც ის იყო საპყრობილეში. როდესაც კოზეტა ჩათვლით ამოსთქვამდა სიტყვებსა, იმას მოსდიოდა სიხარულით ღიმილი.

ამ სახით სწავლება კოზეტასი და ყურება, თუ რა რიგათ ის თამაშობდა,—აი რა შეადგენდა ამ დროს მთელს ქანვალჯანის სიცოცხლესა. შემდგომ-

ში ის ელაპარაკებოდა ხოლმე კონსტანსა იმის დედაზე და ასწავლიდა ლოცვებსაცა.

კონსტანტა ამიერიდგან უმასდა იმას მამასა; უმჯობესი სახელი იმან ვერა მოიგონა რა იმისთჳნა.

ქანვალჟანი ატარებდა ამ რიგათ დროსა და სტკბებოდა, როდესაც ის უყურებდა თუ რა რიგათ კონსტანტა აცმევდა და ხდიდა ტანისამოსსა თავის კატოსა. მაშინ სიცოცხლე ეჩვენებოდა იმას სასარბიელოთ; კაცნი კეთილ მოქმედანი და სამართლიანათ. ის აღარა დრტვინავდა აღარავისზედ და სურდა ეცხოვრა ღრმა მოხუცებულებამდის. ის ხედავდა თვალწინ მრთელს მეოობადსა განბრწყინვალებულსა კონსტანტასაგან, ვითარცა მშუენიერის ნათლის სხივისაგან. უმჯობესნი კაცნი არ არიან მოკლებულნი თავისთჳს მოუჭარულის ფიქრებითა.

რათამცა ქანვალჟანი დარჩენილიყო ბოლომდის კეთილ კაცათ, აღარ გადაეხჳა არჩეულის მის მიერ კეთილ მოქმედებითის გზისგან. მართლათ საჭირო იყო, რომ იმას ეპოვნა იმ გვარი საერდნობელი როგორც კონსტანტა, ამიტომ რომ ქანვალჟანის წინ ხელ მეორეთ გამოჩნდნენ ახალნი სურათნი კაცობრიობის ბოროტებისა, უსამართლოებისა,

დეს არ გასულიყო კარზე. საღამოზეკი, როცა სრულებით დაბინდდებოდა ხოლმე, ის გადიოდა სასეირნოთ, ხან მარტო და ხან კონზეტათი, ხანდისხან ისინი შევიდოდნენ ხოლმე ეკკლესიაშიაცა სალოცავათ: როდესაც ჟანვალჟან გადიოდა მარტო კონზეტა დარჩებოდა ხოლმე მოხუც ქალთან, მაგრამ არ იყო ის იმის კმაყოფილი. იმას ბევრი ერჩია ხოლმე სეირნობა თავის კეთილ მოქმედთან; როდესაც იმას წაიყვანდა ხოლმე ჟანვალჟანი სასეირნოთ, ის ხშირათ აძლევდა ჟანვალჟანსა სხვა და სხვა კითხვებსა.

ჟანვალჟანი ატყობდა, რომ კონზეტა ბუნებიათ იყო მრიელ მხიარულის ხასიათისა.

მოხუცი დედაკაცი, რომელსაც დარჩებოდა მარტო, უგდებდა მინაყურობას ყურსა, გადიოდა ბაზარში ხორცის სასყიდლათ და აკეთებდა საჭმელებსა.

სცხოვრებდნენ ისინი საკმაოთ ღარიბულათ. ჟანვალჟანს სრულებით არა შეუცვლია რა და არცა რა მიუმატებია იმ ოთახის მოწყობილებაში, რომელიც დახვდა მოხუცის დედაკაცისაგან გამზადებული.

ჟანვალჟანს ეცვა ისევ ის მოყვითლო სერთუკი,

და შავი შალვარი; ესურა ისევ ის ძველი შლია-პა. ქუჩებში იმასა სთვლიდნენ მათხოვრათ. მოხ-დებოდა ხოლმე ისიცა, რომ ხანდისხან ზოგიერთნი გლახაკთ შემბრალე ქალები გაჩერდებოდნენ ხოლმე იმის წინა და აძლევდნენ იმას მოწყალებასა. ის ართმევდა იმათ მოწყალებასა და უკრავდა მდაბლათ თავსა; მაგრამ მოხდებოდა ხოლმე ისიცა რომ, როდესაც ის თითონ დაინახავდა ვისმე საწ-ყალსა, მივიდოდა ახლო, მიისედ მოიხედავდა, რომ არავის დაენახა, და ჩუმათ ჩაუდებდა იმას ხელში ხანდისხან თეთრ ფულსაცა. როდესაც ეს შენიშნეს სხვებმა, მაშინ იმას უწოდეს გლახა სხჳა გლახე-ბის შემბრალე.

მოხუცი დედაკაციკი საკუთარის ფხიზლობით და გულს მოდგინებით ადევნებდა თვალსა ყოველ-სავე იმის მოქმედებასა; დედაკაცს აკლდა ყურსა და უყვარდა ყველაფერი შეეტყო, ყველაფერი გამო-ეკითხა. მეტადრე ის ხშირად დაუწყებდა ხოლმე კოზეტას რაღაცების გამოკითხვასა; მაგრამ კოზ-ეტამ რა იცოდა და ან რას ეტყოდა იმას იმის მეტსა, რომ ისინი მოვიდნენ მონფერმეილიდამ.

ერთს დილაზე ჟანვალჟანი შევიდა თავის ოთახში,

მიდგა კუთხისაკენა, ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო იქიდამ რაღაც კოლოფი, კოლოფიდამ მაკრატელი და მაფი; მაკრატლით გასჭრა სერთუკის სარჩული და ამოიღო იქიდამ მოყვითლო ქაღალდი და გამალა. ბებერი დედაკაცი იმ დროს უგდებდა იმას ყურსა კარების ნახვრეტიდამა, და როდესაც იმან დაინახა, რომ ის ქაღალდი იყო ათასი ფრანკის ბანკის ბილეთი, შეშინდა და მოშორდა იმ ადგილსა. თავის სიცოცხლეში იმას სამჯერ ენახა იმ გვარი ბანკის ბილეთი.

ერთი მინუტის შემდგომ ჟანვალჟანმა მისცა ის ბილეთი იმ დედაკაცსა და სთხოვა დაეხურდავებინა სადმე, და დაუმატა იმასა, რომ ის არის იმის ნახევარ წლის შემოსავალი.

საიდამ მიიღო ამან ეს ფული? ფიქრობდა იმ დროს დედაკაცი. მერე წავიდა და წაიღო ბილეთი დასახურდავებელად, მრავლის კაცის ხელში გადავიდა ის ბილეთი, და აწარმოვა მრავალი სხუა და სხუა ჭორი და იჭვნეულება.

მოხდა ერთხელ ესეცა, რომ იმის შემდგომ ჟანვალჟანი უსერთუკოთ იდგა კარიდორში და ხერხავდა შეშასა. ბებერი დედაკაცი იყო იმ დროს იმის

ოთახში და ალაგებდა იქაურობასა. ის იყო სრულებით მარტო, ამიტომ, რომ თჳთ კოზზეტაც იდგა მაშინ ჟანვალჟანის გვერდზე და უყურებდა შეშის ხერსასა. ბებერმა დაინახა იმ დროს ჟანვალჟანის ძველი სერთუკი, მივიდა და დაუწყო იმას ხელით სინჯვა. სარჩული სერთუკისა იყო ისევ გაკერილი. დედაკაცი უსვამდა ხელსა სერთუკის სარჩულსა და ცხადათ გაარჩევდა, რომ მაუდსა და სარჩულს შუა ეწყო რაღაც დაკეცილი ქაღალდები. ეჭვი არ იყო, რომ ისინიც ათას ფრანკიანი ბილეთები იყვნენ.

ამას გარდა ბებერმა შენიშნა ისიცა რომ, იმ სერთუკის ჯიბეში გარდა ნემსისა, მაკრატლისა და ძაფისა, იდო სხვა ნივთებიცა, ესე იგი პორტფელი, დიდი დანა, და რამდენიმე სხვა და სხვა ფერის პარიკი. დედაკაცი ფიქრობდა, რომ ის სერთუკის ჯიბე უნდა იყოს გაკეთებული სხვა და სხვა შემთხვევისათჳს. ამ გვარათ იმ მცხოვრებლებმა გაატარეს იქ მთელი ზამთარი.

სენ მედარის ქუჩაში, მახლობლათ ახლად ამოთხრილის ჭისა, იჯდა ხოლმე ერთი გლახა, რომელსაც ჟანვალჟანი სიამოვნებით აძლევდა ხოლმე მოწყალებასა. არ გაუვლია იმის გვერდით არც ერ-

თხელ ისე, რომ იმისთჳს არ მიეცა რამდენიმე გროში, ხანდისხან ის კიდეც გამოელაპარაკებოდა ხოლმე იმ გლახასა. მეშურნენი იმ საწყლის მათხოვრისა ამბობდნენ, ვითომც ის ყოფილიყო საიდუმლო პოლიციიდამ. ის იყო სამოცდა თხუთმეტის წლის მოხუცი, ხშირათ ბუტბუტებდა თავისთჳს ლოცვებსა.

ერთხელ ჟანვალჟანმა ჩვეულებრივ გაიარა იმ ქუჩაში მარტო, და დაინახა გლახა თავის ჩვეულებითს ადგილზე, ფარნის ქვეშ მჯდომი. ის კაცი ჩვეულებრივ იჯდა თავ ჩაღუნული და თითქო ლოცულობდაო. ჟანვალჟანი მიუახლოვდა იმასა და ჩაუდო ხელში რამდენიმე წვრილი ფული, გლახამ უცებ აიხედა ზევით, და გადაავლო ჟანვალჟანს თვალი და ისევ საჩქაროთ ჩაღუნა თავი. ის მოძრაობა გლახაკისა იყო ხწრაფი. ჟანვალჟანს დაუარა ტანში ჟრუანტელმა. იმას ეჩვენა, რომ ფარნის სინათლეში იმან გაარჩია, არა წყნარი და ღუთის მოშიში სახე მოხუცის გლახაკისა, არამედ საზარელი ნაცნობი სახე. იმან იგრძნო მაშინ ისა, რასაც გრძნობს კაცი, როდესაც ბნელაში წააწყდება ვეფხვსა. ჟანვალჟანი გაქვავდა უცებ, გამოტ-

რიალდა უკან, დაეკარგა თითქმის ნიჭი არამც თუ ლაპარაკისა, არამედ თვით ამოსუნთქვისაცა. რაღაც რამ უანგარიშო თავის მოყვარებამ. ამხილა მაშინ იმასა, რომ სრულებით ხმა არ ამოიღო იმ დროსა. გლახა იყო იმისვე ტანისა და იმავე სახით ჩაც-მული, როგორც ენახა ხოლმე კულავა. მგონია მე ვბოდავ, სთქვა ბოლოს თავის სანუგეშებლად ჟან-ვალჟანმა? საიდამ რა მომეჩვენა? ბოლოს მძიმეთ დაფიქრებული და დაღონებული დაბრუნდა თავის ოთახში, ჟანვალჟანი მღივს უტყდებოდა თავის თა-ვსა, რომ სახე, რომელიც იმან შენიშნა მათხოვა-რში, იყო სახე ჟოვერისა.

მთელი დღე ჟანვალჟანი სწუხდა მხოლოდ იმა-ზედ, რომ ის არ გამოელაპარაკა იმ გლახას, რომ ერთი კიდევ აეღო იმას მაღლა თავი, ერთი კიდევ გაესინჯა იმას ის სახე.

მეორეს დღეს, როდესაც დაბინდდა, ჟანვალჟანი წავიდა კიდევ ჭისაკენ. გლახა იჯდა თავის ადგი-ლზე. — გამარჯობა ბებერო, უთხრა იმას გაბედვით ჟანვალჟანმა, და ჩაუდო იმასთანავე ხელში მოწყა-ლება. გლახამ აიღო მაღლა თავი და მწუხარის ხმით მიუგო: გმადლობ ჩემო მოწყალევ ბატონო.

მაშინ ის მართლათ მოხუცი გლახაკი იყო.

მაშინ ჟანვალჟანმა გამოისახა თავის თავი სრულს უშიშროებაში, და მოუვიდა სისარულის ღიმილი. საიდამ მომელანდა მე ჟოვერი? იფიქრა იმან. ვფიქრობ, რომ მე გუშინ სწორეთ თვალები ამემღვრა, ამბობდა თავისთჳს ჟანვალჟანი, და უნდოდა სრულებით ფიქრიდამ გადეგდო ჟოვერის ხსენება.

რამოდენისამე დღის შემდგომ, ღამით რვა საათზედ, როდესაც ჟანვალჟანი იჯდა თავის ოთახში და აკითხებდა კოზეტას წიგნსა, იმას მოესმა რომ ვიღაც ხან აღებდა და ხან ხურავდა გარეთ კარებსა. ეს გარემოება ეჩვენა იმას საეჭოთ. ჟანვალჟანმა იცოდა, რომ მოხუცი დედაკაცი სამთლის დასაზოგავათ ყოველ ღამ წვებოდა ხოლმე დასაღამოვებისთანავე, ჟანვალჟანმა დაიდო ტუჩებზედ ხელი და ანიშნა კოზეტას, რომ იმასაც ხმა გაეკმინდა. იმ დროს იმან გაიგონა კიბეზედ ფეხის ხმაცა.

მაშინ იმან იფიქრა, რომ იქნება ბებერი დედაკაცი შეიქნა უქეიფოთ და გავიდა სახლიდამ წამლებზე. ჟანვალჟანმა დაუგდო კიდევ ყური და შენიშნა, რომ კარებს უკან ისმოდა კაცის მძიმე

ფეხის ხმა; მაშინ იმას მოაგონდა, რომ ბებერს ეცვა მსხვილი ბაშმაკები, და ისიც, რომ ნაბიჯს ძოველი ბებრის დედაკაცისა მრიელ ჰგავს კაცის ფეხის ხმასა, და ამ ფიქრებით თუმცა დაუმოშმინა ფავის თავსა, მაგრამ სამთელიკი მაშინვე გააქრო.

მერე უთხრა იმან კოზზეტასა, რომ იმას ჩუმათ გაეხადნა ტანისამოსი და დაწოლილიყო, და როდესაც ის ლოცავდა იმას დასამინებელათ და კოცნიდა შუბლში, სწორეთ იმ დროს ფეხის ხმაც მოწყდა.

ჟანვალჟანი იჯდა სკამზე უმრავათ კედლისაკენ ზურგი მიბრუნებული. რამდენისამე წამის შემდგომ იმან გაიხედა კარების ნახვრეტში და დაინახა იქ სინათლე, ცხადი იყო, რომ კარებს იქით იდგა მაშინ ვიღაც სამთლითა და უგდებდა იმათ ყურსა; განვლო რამდენმამე წამმა და გაქრა სინათლეცა. მაშინ აღარ ისმოდა არა ვითარი ფეხის ხმა და ეს ამტკიცებდა, რომ, იმას, ვინც კარებში ყურს უგდებდა, გაეხადნა მაშინ წაღები.

ჟანვალჟანი თუმცაკი მიწვა კრაოტზედ, მაგრამ მთელი ღამე იმას თვალი არ მოუხუჭავს.

გათენებისას იმას მცირეთ წათვლიმა, მაგრამ გამოიღვიძა ისევ კარების ჭრაჭუნისაგან, რომელიც იმ დროს გაეღო სადღაც კარიდორში. მერე იმას მოესმა იმავ კაცის ფეხის ხმა, რომელიც ღამით ადიოდა ჩადიოდა კიბეზე. მაშინ ის წამოსტა კრაოტიდამ, მივარდა კარებში და დაუწყო იქიდამ ყურება და ცხადათ დაინახა, რომ მართლათ იმ დროს გაიარა მასლობლათ იმათის კარებისა ვიღაცა კაცმა, გაიარა ისე საჩქაროთ, რომ აღარ გაჩერებულა კარებთან; მაგრამ კარიდორში ჯერ კიდევ არ იყო ისეთი სინათლე, რომ ჟანვალჟანს გაერჩია სახე იმ კაცისა. როდესაც ის მივიდა კიბესთან, მაშინ ჟანვალჟანმა დაუნახა ზურგი იმ უცხო კაცსა. ის იყო მაღლის ტანისა, გრძელ სერთუკიანი და ხელში ეჭირა დიდი კომბალი: ეს იყო მართლათ ნამდვილი საზარელი სახე ჟოვერისა.

ჟანვალჟანს შეეძლო ნამდვილათ დარწმუნებულიყო რომ ის იყო სწორეთ ჟოვერი, თუ რომ იმას გაეღო იმ დროს თავისი ფანჯარა, საიდამაც იმას შეეძლო კარგათ გარჩევა იმისი, მაგრამ ფანჯრის გაღება იმ დროს იმან ვერ გაბედა.

ცხადი იყო, რომ ის კაცი ავიდა კიბეზე, იმა-

სა ჰქონდა ხელში გასაღები და რომ ის იქ შედი-ოდ გადიოდა როგორც თავის ნაქირავებ სახლში, მაგრამ ვინ მისცა იმას ის გასაღები? აი რა აფი-ქრებდა ჟანვალშანსა.

შვიდ საათზე დილით, როდესაც ბებერი დედა-კაცი შევიდა იმასთან ოთახის მისალაგებლათ, ჟანვალშანმა გადაავლო იმას იჭვნეულების თვალი და არა ჰკითხარაკი სრულებით.

როდესაც ის დედაკაცი გვიდა ჰოლსა, უთხრა იმან ჟანვალშანსა:

—თქუენ იქნება გაიგეთ, რომ წუხელი ღამით ვიღაცა შემოვიდა ჩუენ სახლში?

—დიაღ, მე მართლათ გავიგონე წუხელი ვიღა-სიც ფეხის ხმა, მიუგო ჟანვალშანმა. ვინ იყო ის კაცი თუ იცით?

—ის ახალი დგმური გახლავსთ, უთხრა ბებერმა, ისიც ეხლა აქ დადგა.

—რა ჰქჳინ იმ ახალ მდგმურსა, თუ იცით? კითხა კიდევ ჟანვალჟანმა.

--სწორეთ არ ვიცი რა ჰქჳან. მგონია დიუ-მონს, თუ დომონს, უმახიან.

--ვინ არის, თუ იცით ის უფალი დომონი?

— ისიც თქუჱნისთანა კაცი გახლავსთ; თქუჱნ-სავით თავის შემოსავლითა სცხოვრებს ისიცა.

იქნება დედაკაცი გულწრფელობით ამბობდა ამასა; მაგრამ ქანვალჟანს კი ეჩვენებოდა იმ დოისა, რომ იმ დედაკაცს რაღაც რამ ბოროტი ედო გულში.

როდესაც დედაკაცი გავიდა გარეთა, ქანვალჟანმა გამოიღო შკაფიდამ ბანკის ბილეთები, გაახვა ქა-ღალდში და ჩაიდო ჯიბეში.

როდესაც დაბინდდა ის დაეშვა კიბეზე, გავიდა გარეთ და მიიხედ მოიხედა. იმას არ შეუნიშნავს გარეთ იმ დროს არც ერთი სული. მაშინ ავიდა ისევ კიბეზედ, მოჰკიდა კოზნეტას ხელი და იმავ წამს ორთავ დაუტევეს ის სახლი.

---

რადგან ამ ალაგსა თავდება რუსული თარგმანი ამ რომანისა, და სწორეთ არავინ იცის გამოვა როდისმე თუ არაამისი დასასრულიცა, ამისთჳს

საჭიროთ შევრაცხეთ ვაუწყოთ ჩუენ მკითხველებსა მრიელ მოკლეთ დანარჩენი გარემოებაც ამ რომანის უმთავრესთა მოქმედთ პირთა:

ტენორდიები, რადგან ვაჭრობა იმათი ყოველ დღე ეცემოდა, ჩავარდნენ ვალებში და დიდ სიგლახაკეში ასე, რომ იძულებულნი იყვნენ მოეშალათ მონფერმელში თავისი ტრახტირი და გადასახლებულიყვნენ იქიდამ პარიჟში; როდესაც იმათ იქაც ველარ იშოვეს ვერა ვითარი პატიოსანი სამუშაო და დასდგა იმათთჳს ის საათი, როდესაც მოწყალებით უნდა გამოეკვება ტენორდიეს ცოლშვილი, მაშინ ის შეიქმნა პარიჟში უმთავრეს ქურდათ და ავაზაკათ, და სხუათა შორის ერთხელ დაეცა ეს ქუჩაში ავაზაკურათ ჟანვალჟანსაც და უნდოდა მოკვლა და აკლება იმისი, მაგრამ ჟანვალჟანმა თავისის ჩვეულებრივის სიმარჯვით და ვაჟკაცობით გადაირჩინა იმისგან თავი. შემდგომს მრავალთა ავაზაკობათა ტენორდიე ჩავარდა ბოლოს მართებლობის ხელში და სისხლის სამართლის კანონების ძალით ის იყო გაგზავნილი სიკუდილამდის საპყრობილეში მადნების სამუშაოთ. იმისი ორი ქალიც სრულიად მოკლებული ცხოვრების ღონისძიებასა

შთავარდნენ იმ საზარელს ცხოვრებაში, სადაც იღუპებიან სულით და ხორცით მრავალნი მსგავსნი ახალგაზდა ქალნი, რომელნიც არ ეძებენ პატრონსანს შრომასა.

ქოვერ დიდის ხნისგანა ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ დანარჩენი თავისის სიცოცხლისა შეეწირა იმაზე, რომ როგორმე ჩაეგდო ხელში ქანვალქანი, მაგრამ ქანვალქანმაც ასწონა თავისის ბუნებითის და გამოცდილებითის ნიჭით ყოველი იმისი მოძრაობა; გაიგო ყოველივე იმისი გზა, რომლითაც ის იმას დასდევდა დასაჭერათ, და ამისთჳს ნიადაგ აუსხლტებოდა ის იმას ხელიდამ. სხვათა მორის ერთხელ ქოვერმა მოასწრო ქანვალქანსა იმ მონასტერში, სადაც იმან მიაბარა კოზეტა გასაზრდელათ, და საფიქრო იყო რომ აღარა ჰქონდა ქანვალქანსა ღონე თავის შველისა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ის იმ მონასტერში სტოროჟათ ემსახურებოდა იმ დროს ის დაშავებული და დაკოჭლებული ფაშლევანი, რომელიც ოდესმე ტალახში ურემ ქუეშ იღუპებოდა, თუ რომ ქანვალქანს არ ეშველა მაშინ იმისთჳნა,--და აი სწორეთ იმ აშლევანმა ქანვალქანი ჩასდო კუბოში და ვითა-

რცა მიცვალებული გაიტანა მონასტერს გარეთ სასაფლაოზე და იმითი დაიხსნა ის ქოვერის ხელიდგან. იმ დროებში საფრანგეთში მოხდა საზოგადო არეულობა, და ქოვერი ჩაუვარდათ ხელში იმათა, ვინც იყვნენ მიზეზნი არეულებისა და უნდოდათ მაშინვე იმისი მოკვლა; მაგრამ ქანვალქანმა, რომელიც ერია იმათშივე, სთხოვა დეესპუბებინათ იმისთვს ქოვერი. როდესაც მისცეს ის იმასა, გაიყვანა ქანვალქანმა ის ქალაქ გარეთ და მისცა იმას სრული თავისუფლება. ქოვერი ამით არათუ დალბილდა, უფროც გაბოროტდა ქანვალქანზე, და რადგან გრძნობდა, რომ იმას აღარ შეეძლო შესრულება თავისის სურვილისა,—გრძნობდა იმ დროს სრულს თავისს მართებლობითს უძლურებასა, ჩავარდა პარიჟში სენის მდინარეში და დაიხრჩო.

დაგვრჩა სათქმელი მხოლოდ კოზეტასა და ქანვალქანზედა.

ქანვალქანმა კოზეტა მისცა აღსაზრდელათ უპირველესს დედათ მონასტერში, სადაც კოზეტამ მიიღო მშვენიერი სწავლა. როდესაც იმან დაასრულა სწავლა და მოვიდა სრულს ჭასაკში, მაშინ შეიქნა მშვენიერი როგორც სახით ისე ზნეობით, და რა-

დგან დაუძინებელი მტერი ჟანვალჟანისა, ჟოვერი მაშინ ცოცხალში აღარ იყო. ამისთვის ჟანვალჟანი სცხოვრებდა პარიჟში ვითარცა შეძლებული კაცი გამოცხადებით და უშიშრათ. ერთს დროს, როდესაც ისა და კოზზეტა დასეირნობდნენ, იმათ შემოეყარათ წინა ერთი ყმაწვლი მშვენიერი სტუდენტი მდიდრისა და ჩინებულის გვარისა მარიუსი. შემდგომ რაოდენისამე გამოლაპარაკებისა და მცირედის გაცნობისა, მარიუსმა გამოუცხადა კოზზეტას, რომ ის მზა არის იმაზე ჯვარის დაწერისა; ჟანვალჟანმა კარგათ იცოდა ყოველი გარემოება იმ ყმაწვლის კაცისა, და ამისთვის ისიც და კოზზეტაც მოხარულნი იყვნენ ამის, მაგრამ მშობელნი ყმაწვლი კაცისა, არ იყვნენ თანახმა რადგან არ იცოდნენ თუ ვინ, საიდამ, და ვისი შვლი იყო კოზზეტა, და მოხუცი ჟანვალჟანი; მაგრამ ყმაწვლს მარიუსს ჰქონდა ისეთი ძლიერი სიყვარული კოზზეტასი, რომ დასთრგუნა წინააღმდეგობა მშობლებისა და დაიწერა იმაზე ჯვარი. ჟანვალჟანმა დალოცა, ვითარცა მშობელმა, დალოცა ისინი მხურვალის გულით და გარდასცა იმათ სრული თავისი საცხოვრებელი, რომელიც მაშინ შეადგენდა შვდასი ათას მანეთსა

მაგრამ ყმაწვილი კაცი ნაცვლათ სიხარულისა, დაა-ფიქრა იმდენმა ფულმა; ის ვერას გზით ვერ წარმოიდგენდა თუ საიდამ უნდა შეემინა იმ მოხუცს ის ფული და მსწრაფლათ არათუ დაუბრუნა უკანვე ფული, არამედ ერთ დროს სრულებით აღუკრმალა კოზსეტასა ჟანვალჟანის ნახვაცა; ყმაწვილი კაცის მშობლები ჯერ მრიელ ცივათ ეკიდებოდნენ კოზსეტასა და არ აღიარებდნენ იმას არა ვითარს სიყვარულსა, მაგრამ როდესაც გავიდა რამდენიმე დრო, და იმ მოკლე დროებამ დაუმტკიცა იმათ რომ კოზსეტა იყო შემკული როგორც გონებით, ისე მშვენიერის ხასიათებით, მაშინ ის შეიქმნა მრთელის სახლში საგნათ ცხოველის სიყვარულისა. ჟანვალჟანიკი იყო მოკლული სევდითა, რომ იმისი ბნელი იღბალი ხელახლათ შეიქმნა მიზეზათ ენახა ხოლმე კოზსეტა იმის ბედნიერების დროსა.

ერთს დილას კოზსეტას მიუვიდა ამბავი ჟანვალჟანის მძიმე ავათმყოფობისა და შეიქმნა ის უცებ დაღონებული და დაფიქრებული. როდესაც ქმარმა შენიშნა ესე და სცნო მიზეზი იმისის დარდებისა, მოიხმარა ყოველი ღონისძიება გამოეკვლია და შეეტყო სრული გარემოება ჟანვალჟანის

ცხოვრებისა, და როდესაც იმან შეიტყო დაწვლილებით ყოველი იმისი გარემოება, მრავალი თითქმის, უმაგალითო კაცთ მოყვარული ღუაწლი, ყოველი უსამართლოება იმაზედ მართლმსაჯულების მხრით, გაუყარა საჩქაროთ კოზსეტას ხელი და მიაშურა ჟანვალჟანთან; როგორც რომ შევიდნენ იმის ოთახში, მაშინვე დაეცნენ იმას წინ ყმაწვილნი ცოლქმარნი მუხლზე ისდიდნენ იმასთან ბოდიშსა, ითხოვდნენ მიტევებასა და ცრემლით ევედრებოდნენ თანახმა გამხდარიყო გადასულიყო იმათთან საცხოვრებლათ, ჰპირდებოდნენ იმას სრულს ნარნარს მზრუნველობასა. მაგრამ ჟანვალჟანს იმ უკანასკნელს სიცოცხლის წამში სხუა არაფერი არა სურდარა თჳნიერ იმათის ნახვისა; დაინახა თუ არა ისინი თავის კარებში, ის მოვიდა აუწერელს სიხარულში და აევსო დასუსტებული თვალები მსხჳლის ცრემლით, ბოლოს დალოცა კიდევ ორივე მხურვალის გულით, დაჰკოცნა ისინი გულიანათა და იქვე, კოზსეტას ხელში, განუტევა სული.

ვ. დიდებულიძე.

---

# აშიკ-კერიბ

## ოსმალური ზღაპარი.

დიდი ხანია მას აქეთ, ტფილისის ქალაქში სცხოვრებდა ერთი მდიდარი ოსმალო. ღმერთმა (ალახ) მისცა მას მრავალი ოქრო; მაგრამ ოქროზე უფრო უძვირფასესი ჰყვანდა მას ერთი ქალი მაღულ-მეღერ. კარგებია ცაში ვარსკვლავები; მაგრამ ვარსკვლავების ზევით ჰსცხოვრებენ ანგელოსნი, და ესენი უფრო უკეთესნი არიან; ისრე მაღულ-მეღერი იყო უკეთესი ყველა ქალებზე ტფილისში. იყო აგრეთვე ტფილისში ღარიბი აშიკ-კერიბ. ფეღამბარს (წინასწარ მეტყველს) არ მიეცა მისთვის სხვა არაფერი, გარდა მაღალის გულისა და სიმღერის ნიჭისა, უკრავდა რა საზსა (ჩონგურსა) და აქებდა ძველთა მოლექსეთა თურქმანისათა, დადიოდა იგი ქორწილებში და შეაქცევდა მდიდართა და ბედნიერთა. იმედი არა ჰქონდა ღარიბს აშიკ-კერიბსა იმის შერთვისა, და მოიღრუბლა როგორც ზამთრის ცაშ.

აი, ერთხელ ის იწვა ბაღში ხეივანის ქვეშ და ბოლოს დაეძინა. იმ დროს მოდიოდა მაღულ-მეღერი თავისის

ტოლებითა და ერთმა იმათგანმა დაინახა რა მძინარე აშიკი (მეჩონგურე), მოშორდა იმათ და მივიდა იმასთან. «რასა გძინავს ხეივანის ქვეშ, შემღერა ამან, ადექ! ყაყუნურო! შენი შველელი მოდის შენკენ.» იმან გაიღვიძა. ქალი გაფრინდა როგორც ფრინველი, მაღულ-მელერმა გაიგონა რა იმისი სიმღერა და დაუწყო ტუქსვა. «შენ რომ იცოდე. უპასუხა ქალმა, ვის უმღეროდი ამ სიმღერასა, შენ მე მადლობას მეტყოდი. ეს შენი აშიკ-კერიბის. წამიყვანე მე იმასთან, უთხრა მაღულ-მელერმა, და წავიდნენ ისინი. ნახა რა ის დაღონებულის სახით, მაღულ-მელერმა დაუწყო იმას კითხვა და ნუგეშინის ცემა. მე როგორ არ შევწუხდე, უპასუხა აშიკ-კერიბმა, მე შენ მიყვარხარ და შენკი არაოდეს არ იქნები ჩემი. სთხოვე ჩემი თავი მამა შენს, უთხრა იმან, და მამა ჩემი გადიხდის ჩვენს ქორწილსა თავის ფულითა, და მაჩუქებს მე იმდენსა, რომ ჩვენ ორთავე გვეყოს. კარგია, უპასუხა იმან ვსთქვათ, აიაგ-ალა არას დაიშურებს თავის ქალისათჳს, მაგრამ ვინ იცის, რომ მერე შენ მაყვედრო, რომ მე არაფერი მქონდა და ყოვლის ფრით შენი შენახვის ვალი მაქვს. არა საყვარელო მაღულ-მელერი! ჩემის სულის მზემა, პირობასა ვდებ შჳდს წელს ვმოგზაურებდე ქვეყანაზე და შევიძინო სიმდიდრე, ან დავიღუპო შორს უდაბურებში; თუ შენ თანახმა ხარ, რომ შჳდის წლის ვადის შემდეგ შეიქმნები ჩემი.» ქალი დაეთანხმა და ზუდა დარიო, რომელ უკეთუ დანიშნულს დღეს ის არ დაბრუნდება, მაშინ გახდება ცოლი კურშუდ-ბეგისა, რომელი დიდი ხანია ირთავს იმას.

მოვიდა აშიკ-კერიბ თავის დედასთან, მიიღო იმისგან კურთხევა აგრეთვე პატარა დისა, გადიკიდა მხარზე ხურჯინი, დაიჭირა საგზაო კვერთხი და გავიდა ტფილისიდამ. და აი მოეწევა იმას ცხენოსანი. ის უყურებს, ეს კუშურდ-ბეგია! გზა მშჳდობისაო, დაუყვირა იმას ბეგმა «სადაც უნდა წახვიდე მოგზაურო! მე შენი მგზავრი ვარ. აშიკს არ უამა იმისი ამხანაგობა, მაგრამ რა ექნა. დიდხანი დადიოდნენ ერთად, ბოლოს დაინახეს თავიანთწინ მდინარე, არც ხიდი იყო და არც ფონი. გასცურდი წინაწინ, უთხრა კუშურდ-ბეგმა, მე შენ მოგყვებიო. აშიკმა გაიხადა ტანისამოსი და გასცურდა. გავიდა რა ნაპირსა, მოიხედა უკან ვაიმე! ოჰ ყოვლად შემძლებელო ალახ! კუშურდ-ბეგმა აიღო იმისი ტანისამოსი, დაბრუნდა უკანვე ტფილისში. მხოლოდ მტვერი ტრიალებდა იმის უკან გველსავით. ვაკეს მინდორზე. მოიჭრა რა ტფილისში მოუტანა ბეგმა ტანისამოსი აშიკ-კერიბსა მოხუცებულს იმის დედას. შენი შვილი დაიხრჩო წყალში, უთხრა იმან, აი იმისი ტანისამოსი. გამოუთქმელის მწუხარებით მოეხვია დედა თავის საყვარელის შვილის ტანისამოსსა და აურიდა იმაზედ ცხარეთა ცრემლეთა, შემდეგ აიღო და მიუტანა დასახელებულს თავის რძალსა მაღულ-მეღერის. ჩემი შვილი დაიხრჩო, უთხრა იმან იმას. «კუშურდ-ბეგმა მოიტანა იმის ტანისამოსიო. შენ თავისუფალიხარო.» მაღულ-მეღერმა გაიღიმა და უპასუხა: ნუ დაიჯერებ ეგ სულ მოგონილია კუშურდ-ბეგისაგან, შვიდის წლის გასვლამდინ, არავინ არ იქნება ჩემი ქმარი. ქალმა ჩამოიღო კედლიდამ თავისი საზი და მოსვენებით დაიწყო სიმღე-

რა, რომელიც უყუარდა ღარიბს აშიკ კერიბსა.

ამისა შორის მგზავრი მივიდა ფეხშიშველი და ტიტ-ველი ერთს სოფელში. კეთილმა კაცებმა შემოსეს ის და გამოზარდეს. იმან იმისთჳს უთხრა იმათ მშუენიერი სიმღერა. და ესრეთ დადიოდა ის სოფლითი სოფლად, და ქალაქითი ქალაქად, და ქება ამისი განითქუა ყოველ-გან. ბოლოს მივიდა ის ხალაფში. ჩვეულებისამებრ შე-ვიდა ყავახანაში, მოითხოვა საზი და დაიწყო მღერა. ამა ჟამსა ჰსცხოვრებდა ხალაფში ფაშა, რომელიც იყო მოყვარული მომღერალთა. მრავალი მიჰყვანდათ იმასთან, მაგრამ არავინ მოსწონდა. იმის კარის კაცები (ჩაუშნი) დაიტანჯნენ, დარბოდნენ რა ქალაქში. უეცრად გაიარეს რა ყავახანისკენ, ესმათ საკჳრველი ხმა, ისინი იქ შევიდ-ნენ. «წამოდი ჩუენთან დიდ ფაშასთან, დაუყჳრეს იმათ, თორემ თავს გაგაგდებინებთო. მე თავისუფალი კაცი ვარ მგზავრად გამოსული ტფილისითგან, ეუბნება აშიკ-კერი-ბი: მინდა წამოვალ, მინდა არა. ვიმღერი როცა დრო არის და თქუენი ფაშა ჩემი უფროსი არ არის, — მაგრამ არ შიმხედველი ამისა, დაიჭირეს და მიიყუანეს ფაშასთან. იმღერე, უთხრა ფაშამ, და იმან შემღერა, და ამ სიმღერა-ში ის აქებდა თავის უძვირფასესს მაღულ-მეღერის, და ეს სიმღერა ისე მოეწონა ქალაქის ფაშას, რომ თავის-თან დაარჩინა ის ღარიბი აშიკ-კერიბი. უყრიდა იმას ოქ-როსა და ვერცხლსა. ბრჭყვინვიდა იმაზედ მდიდარი ტა-ნისამოსი. ბედნიერად და მხიარულად დაიწყო ცხოვრება აშიკ-კერიბმა, და შეიქმნა ძალიან მდიდარი. დაივიწყა იმან თავისი მაღულ-მეღერი ანუ არა არ ვიცი მხოლოდკი კადა

გადიოდა. უკანასკნელი წელი უნდა ჩქარა შესრულებულიყო, და ის არ ემზადებოდა წასვლასა. შვენიერი მაღულ-მეღერი იმედს იწყვეტდა. იმ დროს მოდიოდა ერთი ვაჭარი ქარავანთან ტფილისიდგან ორმოცის აქლემითა და ვ. ტყვითა. ქალმა დაიბარა თავისთან ვაჭარი და მისცა იმას ოქროს სინი. «წაიღე შენ ეს სინი, უთხრა იმან, და რომელს ქალაქშიაც მიხვდე, გამოდგი ეს სინი შენს დუქანზედ, და გამოაცხადე ყოველგან, რომ ვინც გამოუჩნდეს ჩემს სინსა პატრონად და დამტკიცოს, მიიღებს იმას და კიდევ ამ სინის წონას ოქროსა. წავიდა ვაჭარი, ყველგან ასრულებდა მაღულ-მეღერის დაბარებასა, მაგრამ არავინ გამოუჩნდა პატრონად ოქროს სინსა. კიდეც გაყიდა თითქმის სულ თავისი საქონელი და მივიდა ხალაფში. გამოაცხადა იმან ყველგან დაბარება მაღულ-მეღერისა. გაიგონარა ესე აშიკ-კერიბმა მიირბინა ქარვასლაში და ნახა ოქროს სინი დუქანში ტფილისის ვაჭართან. ეს ჩემია, უთხრა იმან, წაავლო ხელი. მართლად შენია? უთხრა ვაჭარმა. მე გიცან შენ, აშიკ-კერიბი ხარ. წადი შენ ჩქარა ტფილისში, შენმა მაღულ-მეღერმა მიბძანა რომ გითხრა შენ, ვადა გადისო, და თუ შენ დანიშნულს დღეს არ მოხვალო, მაშინ მე შეკირთამ სხჳსაო. იმედ გადაწყვეტილმა აშიკ-კერიბმა შემოიკრა თავში რჩებოდა იმას მხოლოდ სამიღა დღე ვადამდინ. მაგრამ შეჯდა ცხენზედ თან წაიღო ხურჯინი ოქროთი და გააჭენა არ დაზოგა რა ცხენი. ბოლოს დაღალული ჭენებითა ჩამოვარდა უსულთქმოდ არზილანის მთაზედ, რომელიც არის არზილანის და აზრუმის შუა. რა უნდა ქნა იმას. არზილანიდგან

(ტფილისამდე არის ორის თჳს სავალი და რჩებოდა მხო-
ლოდ ორიღა დღე.« ალლახ ყოვლად შემძლებელო! შესმა-
ხა იმან, თუ შენ მე არ მიშველი, მე ქუეყანაზე აღარ
ვიცოცხლებ,» და უნდოდა ჩამოვარდნა მაღალის ნაპრა-
ლიდამ. უეცრად დაინახა ძირს კაცი თეთრს ცხენზედ, და
ესმის მაღალი ხმა: ოღლან (ჭაბუკო), რა გინდა ჰქმნა?
მინდა მოვჰკუდე, უპასუხა აშიკმა. ჩამოდი აქა, თუ აგრეა,
მე შენ მოგკლავ. «აშიკ ჩამოვიდა როგორც იყო კლდი-
დამ. წამოდი ჩემს უკან» უთხრა რისხვით ცხენოსანმა. მე
როგორ შემიძლიან უკან მოყოლა, უპასუხა აშიკმა: შენი
ცხენი ჰქრის როგორც ქარი, და მეკი ხურჯინისაგან და-
მძიმებულ ვარ. მართალია. «გადაჰკიდე შენი ხურჯინი ამ
ჩემს უნაგირზე და გამომყევ »დარჩა უკან აშიკ-კერიბ, თუმცა
ჰსცდილობდა მოწევასა. უკან რათა რჩები? ჰკითხა ცხენოსანმა
როგორ შემიძლიან მოგყვე. შენი ცხენი უჩქარესია მოფიქრე-
ბზე: და მეკი დატანჯულვარ. მართალია, შემომიჯექ მე უკან
ცხენზედ და მითხარ სულ მართალი. სად უნდა შენ წა-
სვიდე? აზრუმს მაინც უწიო დღეს. უპასუხა აშიკმა.—და-
ხუჭე თვალები.» იმან დახუჭა. ეხლა ახილე. უყურებს
აშიკი: წინ თეთრად გამოჩნდა კედლები და ელვარებენ
მინარები აზრუმისა.—დავაშავე აღავ! უთხრა აშიკმა: შე-
ვცთი: მე მინდოდა მეთქო, რომ ყარსში მინდა მივსუ-
ლიყავ. აი ეგრე, უპასუხა ცხენოსანმა. მე აკი წინაწინ
გითხარი შენა, რომ სწორე მართალი გეთქო ჩემთჳს.
დახუჭე კიდევ თვალები. ეხლა ახილე» აშიკს არა სჯერა,
რომ ეს ყარსია დაიჩოქა და უთხრა: დავაშავე აღავ! სა-
მჯერ დავაშავე შენმა მოსამსახურემ აშიკ-კერიბმა, მაგრამ

თითონ შენ იცი, რომ თუ კაცმა დაიწყო ტყუილის თქმა დილითგან, უნდა საღამომდინ იცრუოს. მე სწორეთ მიუნდა ტფილისში წასვლა. ეჰ! როგორი დაუჯერებელი ხარ» უთხრა გაჯავრებით ცხენოსანმა, მაგრამ რა ვქნა, მომიტკებაჲ შენთჳს. დახუჭე თვალები. ეხლა აახილე, დაართო იმან ერთის წამის უკან. აშიკმა შეჰყვირა სიხარულისაგან: ესენი იყვნენ ტფილისის გალავნის კარებთან. უძღვნა რა უმწყურვალესი მადლობა და ჩამოხსნა რა უნაგირიდამ თავისი ხურჯინი აშიკ-კერიბმა უთხრა ცხენოსანსა: აღაჲ! მართალია, შენი კეთილ-მოქმედება დიდ არს, და კიდევ მიქმენ უმეტესი: მე რომ ეხლა უამბო ვისმე, რომ ერთს დღეს უწიე არზინჯანიდგან ტფილისს, არავინ დამიჯერებს: მამეცი ერთი რამ ნიშანი.—თავი დაიღუნე, უთხრა მან, ღიმილით: გამოიღე ცხენის ჩლიქიდამ კოშტი მიწისა და ჩაიდე უბეში, და მაშინ თუ არ დაიჯერონ სიმართლე შენის სიტყჳსა; მაშინ მააყვანინე შენთან ბრმა, რომელიც იყოს შჳდი წელიწადი ამ მდგომარეობაში, დასცხე თვალზე, დაინახამს.—აშიკმა გამოიღო თეთრის ცხენის ჩლიქიდგან კოშტი მიწისა, და როგორც აიღო თავი მაღლა, ცხენი და ზედ მჯდომი გაქრნენ. მაშინ დაიჯერა იმან, რომ იმისი მფარველი ყოფილა სხუა არავინ, ვითარ ოდენ ნადერილიაზი (წმიდა გიორგი). საღამოზედ მხოლოდ გვიან იპოვა თავისი სახლი აშიკ-კერიბმა. არახუნებს ის კარსა თრთოლით «ეუბნება რა ანა, ანა (დედი), გააღე» ღუთის სტუმარი ვარ მე: მშიან და კიდეც მცივა. გთხოვ შენის მგზავრის შჳლის გულისათჳს შემიშვი მე. სუსტის ხმით პასუხ უგო ბე-

ბერმა!—ღამე დასადგომი სახლი მგზავრებისა აქვსთ მდიდრებსა და შემძლებელთა. ეხლა ქალაქში ქორწილია წადი იქა, იქ შეგიძლიან დროება გაატარო სიამოვნებით ანა! უპასუხა იმან: მე აქ მცნობნი არავინა მყავს, და კიდევ განვიმეორებ ჩემს თხოვნას: შენის მგზავრის შჳლის გულისათჳს, შემიმჯ მე: მაშინ იმის დამ უთხრა დედასა: «დედავ! მე ავდგები და გაუღებ კარსა.» უხეირო! უპასუხა ბებერმა: შენ გიამება ყმაწჳლ კაცების მიღება და დახვდომა, ამიტომ რომ, აგერ შჳდი წელიწადია რაც დავბრმავდი. მაგრამ ქალმა ყური არ უგდო იმის ყვედრებას, ადგა გაუღო კარი, შეიყვანა აშიკ-კერიბი. უთხრა რა ჩვეულებრივი მოკითხვა, დაჯდა და ჩუმათ დაიწყო მიხედ-მოხედვა. დაინახა იმან, რომ კედელზედ ჩამოკიდებულია მტვრიანს ბუდეში იმისი ტკბილხმოვანი საზი, და ჰკითხა დედასა: რა ჰკიდია კედელზე. «გამოცდილების მოყვარულო სტუმარო! უპასუხა იმან» გეყოფა შენ ისიცა, რომ მოგცემენ ნატეხ პურსა, და ხვალ გაგისტუმრებენ მშჳდობით —მე აგი შენ გითხარი, უპასუხა იმან, რომ შენ ჩემი მშობელი დედა ხარ, და ეს ჩემი დაა, და ამისთჳს ვთხოვ ამიხსნათ მე, თუ რა ჰკიდია ის კედელზედ «ეს საზია, საზი, უპასუხა ბებერმა გაჯავრებით, არ დაუჯერა იმას. და რა არის საზი? საზი ის არის, რომ იმას დაუკვრენ და დამღერებენ.—და სთხოვს აშიკ-კერიბი, რომ იმან ნება დართოს დასა, ჩამოიღოს და აჩვენოს იმას.—არ შეიძლება, უპასუხა ბებერმა: ეს საზი არის უბედურის ჩემის შჳლისა; აი აგერ შჳდი წელიწადია, რაც კედელზედ ჰკიდია და

სხვის ხელი არავის შეხებია.—მაგრა იმისი და ადგა, ჩამოიღო კედლიდგან საზი და მისცა იმას. მაშინ იმან აიხედა ზეცად და ჰსთქუა ეს ლოცუა: ჰჲ ყოვლად შემძლებელო ღმერთო! (ალლახ) თუ შე მიგემთხვევი სურვილსა ჩემსა; მაშინ ჩემი შვიდ სიმიანი საზი იქმნეს გამართული ისრე, როგორც იმა დღეში, როდესაც მე უკანასკნელ უკრამდი ამას, და იმან დაჰკრა თითბრის სიმებსა, და სიმებმა ერთ ჴმად დაიძახეს და იმან დაიწყო მღერა; მე გარ საწყალი (ღარიბი) კერიბ (მოგზაური), და ლექსები ჩემი საწყალი (ღარიბი);მაგრამ დიდმა ნაღვრიალზმა მიშველა ჩამოსვლა თავლადმართის კლდიდგან. თუმცა მე საწყალი ვარ, და სიტყვები ჩემი საწყალი, მაგრამ მიცან მე დედავ, შენი მგზავრი ვარ. შემდგომ ამისა იმისმა დედამ შესტირა და ჰკითხა იმას: რა გქჳან შენ? რაშიდ (ჭაკადმართალი), უპასუხა. ერთხელ ჰსთქჳ, მეორეზედ გაიგონე რაშიდ? უთხრა დედამ. შენის ლექსებითა დაჰკუწე ჩემი გული დუკმა დუკმად. წუხანდელს ღამეს ძილში გნახე, რომ თავზედ თმა გამოთეთრებოდა, და აი შვიდი წელიწადია რაც დავბრმავდი ცრემლისაგან. მითხარ მე, რომელიც ემსგავსები ჩემს შჳლს ხმაში, როდის მოვა ჩემი შჳლი? და ორჯელ განუმეორა იმას თხოვნა ცრემლითა. ტყუილად დაიძახა იმან იმისი შჳლობა, მაგრამ იმას არა სჯეროდა. და რავდენსამე ხან უკან ითხოვს ისა; ინება მიბოძე დედავ! წავიღო საზი და წავიდე. მე გავიგონე, რომ ახლოს ქორწილია: ჩემი და გამაცილებს: მე ვიმღერებ და ვითამაშებ, და რასაც ვიშოვნი, სულ აქ მოვიტან და გავიყოფ თქუენ.—ნებას არ მოგცემ, უპასუხა

ბებერმა: იმ დროიდგან, რაც ჩემი შჳლი არ არის, იმის საზი არ გატანილა სახლიდგან, — მაგრამ ამან შეჰფიცა, რომ არას ავნებს არც ერთს და თუ ერთი სიმი გაწყდეს უთხრა აშიკმა; მაშინ ვზღო ჩემის ქონებიდგან. ბებერმა ჴელი მოუსო ხურჯინსა და შეიტყო, რომ სავსე არის ფულითა, გაუშო ისა. გააცილა რა მდიდრის სახლამდინ, სადაც გამოდიოდა ჴმა ქორწილისა, და დადგა კარებთან, გაიგონოს, თუ რა იქნება.

იმა სახლში ჰსცხოვრებდა მაღულ-მეღერი, და იმ ღა-მეს უნდა გამხდარიყო ცოლად კურშუდ-ბეგისა, კურშუდ-ბეგი შეექცეოდა თავის ნათესავებთან და მეგობრებთან; ხოლო მაღულ-მეღერი იჯდა რა მდიდარს ფარდას უკან თავის ტოლებთან, ერთს ჴელში ეჭირა სასმისი საწამ-ლავითა, და მეორეში — გალესილი ხანჯალი. ამან ჰყო ფი-ცი, რომ წინდაწინ მოკჳდება, და არაოდეს არ დასდებს თავსა კურშუდ-ბეგის საწოლზე, და ესმის იმას ფარდას უკან, რომ მოსულა ვიღაც უცნობი, რომელიც ამბობს: სულიამ ალექ-ქუმ! (გამარჯობა.) თქჳენ აქ შეექცევით და მხიარულობთ, მაშ მეც ნება მომეცით საწყალს მგზა-ვრსა დავჯდე თქჳენთან, და ამისთჳს სიმღერას მოგახსე-ნებთ. რატომ არა, უთხრა კურშუდბეგმა. აქ უნდა შე-მოიშვებოდნენ მომღერალნი და მოთამაშენი, ამიტომ, რომ ქორწილია; — იმღერე რამე აშიკ (მომღერალო) და გაგისტუმრებ მუჭით ოქროთი სავსეთი.

მაშინ კურშუდბეგმა ჰკითხა იმას, რა გქჳან შენ, მოგზაურო? შინდი-ღერერსეზ, (მალე შეიტყობ). ეს რა სახელია? შეჰსძახა იმან სიცილით: ჩემთჳს პირველი გა-

გონებაა ეს. როდესაც დედაჩემი ორსულად იყო ჩემზედა და მუცელი ჰსტკიოდა, მაშინ მრავალნი მეზობლები მოდიოდნენ კარებთან და კითხულობდენ: ღმერთმა რა გაუჩინაო, ვაჟი თუ ქალი; იმათ უპასუხებდნენ შინდი-ლერესეზ (მალე შეიტყობთ,) და აი ამიტომ, როდესაც მე დავიბადე, მე ეს დამარქვეს. მერე აიღო საზი და დაიწყო მღერა.

«ხალაფის ქალაქში მე ვსომდი მისრის ღვინოსა, და
«ღმერთმა მომცა ფრთები და მოვჰფრინდი აქ სამს დღეზე.»

ქურშუდ-ბეგის ძმამ, რომელიც იყო ჭკუა ნაკლები, ამოიღო ხანჯალი და შეჰყვირა: შენ სტყუი. როგორ შეიძლება ხალაფიდგან აქ მოვიდეს სამს დღეში.

რისთჳს მკლავ მე? უთხრა აშიკმა; მომღერალნი ყოველს ოთხის მხრითგან შეიყრებიან ერთს ადგილს, და მე თქჳენ ხომ არას გართმევ; დამიჯერეთ მე თუნდ არა.

დეე იმღეროს, უთხრა საქმრომ და აშიკ-კერიბი მოჰყჳა ხელახლად.

«დილის ლოცჳა (ნამაზი) ვილოცე ადზილანის მინდორ-
«ში, შუადღისა აზრუმის ქალაქში, მზის ჩასვლის დროს
«ყარსში, და საღამოზედ ტფილისში. ალლახმა მომცა მე
ფრთები და მოვფრინდი აქა. ღმერთმა ინებოს, რომ
«მე ვიქმნე მსხჳერპლად თეთრის ჭუნესი. ის აჭენებდა
«ჩქარა, როგორც მოთამაშე ოთახში ალმართიდგან დაღ-
«მართზე, და დაღმართიდამ ალმართზე. მე ვიღანს (უფა-
«ლმა ჩჳენმა) მოსცა აშიკს ფრთები და ის მოფრინდა
«ქორწილში მაღულ-მეღერისა.»

მაშინ მაღულ-მეღერმა იცნა რა იმის ჴმა, გადააგდო საწამლავი ერთის მხარეს და ხანჯალი მეორესა.—ეგრე დასდეგ შენს ფიცზედ, უთხრა მისმა ცოლმა? მაშ ამაღამ გახდები ცოლი კორშედ-ბეგისა,—თქუენ ვერ იცანით, და მე კი ვიცან ჴმა ჩემის საყუარელისა, უპასუხა მაღულ-მეღერიმ და, აიღო რა მაკრატელი, გასჭრა ფარდა. რომლესაც შეხედა და სწორეთ იცნა თავისი აშიკ-ყერიბი, მაშინ შეჰყვირა და მოეხვია ყელზედ და ორთავე გულ-შემოეყარათ.—ძმა კურშედ-ბეგისა მივარდა მათ ხანჯლითა და უპირობდა ორთავეს მოკვლასა; მაგრამ კურშუდ-ბეგმა დაიჭირა იგი და უთხრა: «დამშვიდდი და იცოდე, რომ «რაც უწერია შუბლზედ კაცსა დაბადების დროს, ის არ «ასცდება.»

მოეგო რა გონებასა მაღულ-მეღერი, გაწითლდა სირცხვილისაგან, და დაიფარა რა პირზედ ჴელი დაიმალა ფარდას უკან.—

ახლა სწორედ, სჩანს რომ შენ აშიკ-ყერიბი ხარ. უთხრა საქმრომ; მაგრამ გვიამბე: როგორ გამოიარე ასე მოკლეს დროში ეს სიშორე გზა?

დასარწმუნებლად ჭეშმარიტებისა, უპასუხა აშიკმა, ჩემი ხმალი მოსჭრის ქუასა, და თუ ვტყუოდე, მაშინ ჩემი კისერი გახდეს უწვლილეს თმისა. გარნა ყველაზე უმჯობესია: მომიყვანეთ მე ბრმა, რომელსაც შჳდი წელიწადი არ დაენახოს სინათლე ქვეყნისა, და მე იმას თვალს აუხილებ. და აშიკ-ყერიბისა იდგა რა ეზოში კარებთან, და გაიგონა რა ეს სიტყუა, გაიქცა დედასთან. დედავ! დაიყვირა: «ეს სწორედ ჩემი ძმა არის და შენი შჳლი აშიკ-

კერიბი». დაუჭირა რა კელი ზეზერსა, წამოიყვანა ქორ-წილში.—მაშინ აშიკმა ამოიღო უბიდგან კოშტი მიწისა, გახსნა ის წყალში და დასცხო თვალებზე დედას, და უთხრა: «იცოდეთ ყოველნო ერნო! თუ ვითარ ყოვლად შემ-ძლებელ არს ნადერილიაზი.» და დედა მისი ხედვიდა. მერმე აღარავის შეეძლო იჭგნეულება ჭორებისა სიტყუთა მისთა, და კლერშულა-ბეგმა დაუთმო იმას უთქმელად შვენიერი მაღულ-მეღერი.—

მაშინ სიხარულით აშიკ-კერიბმა უთხრა იმას: გამიგო-ნე კურშუდბეგო! მე შენ ნუგეშსა გცემ! ჩემი და არ არის ცუდი შენს უწინდელს ცოლზედ. მე მდიდარი ვარ, იმას არ ექნება ნაკლები ოქრო და ვერცხლი, და შეირთე ის და, იყავით ისრე ბედნიერ, როგორც მე ჩემის ძვირფასის მაღულ-მეღერათი.—

კოსტ. კალუბანსკი.

## უძღუნი სარ. კიკოლას.

ერთს დღეს კიკოლას, უეცრათ დილით,
გამოეღვიძა პირჯუარს იწერდა,
ქვეშაგებში ზის, არის ღიმილით—
და საჩქაროთ რაღაცას ჰსწერდა.

არ დამავიწყდეს მე ეს სიზმარი,
ჯერ არ მინახავს მე ამისთანა,
ჩამოჰკრეს ვითომც სიონის ზარი,
საჩქაროთ ვინღაც იქ შამიყვანა

აქ იყო მეტათ ხალხი მრავალი,
განურჩეველად კაცი და ქალი,
დიდი, პატარა მუნ შეკრებოდნენ,
თითქოს რაღაცას ელოდებოდნენ.

შუაზე იდგა მორთული ქალი,
რა შამომხედა—თრთოდა საწყალი,
ღშდელმა ღიმილით მითხრა: კიკოლი,
ძლივას გიშოვეთ ლამაზი ცოლი,

ყველა აქ მყოფი, მე მიყურებდა,
ოჭელი სული მე მაყვედრებდა,

რა სიცოცხლეა ასა გიგოლი,
რომ აქამდისინ არა გყავს ცოლი!
ამ დროს უეცრათ გადამკრა ფერმა,
და ნახოს მაშინ ის თქუ̂ენმა მტერმა,
როგორც იმ დროსა, ფიქრში ვდნებოდი
და სირცხვილითა თითქოს ვკუ̂დებოდი!
კუ̂ლავ ღუ̂დელი მკითხავს: მითხარი რამე,
რაღასა ჰფიქრობ პასუხი მამე,
მლივს დატრიალდა ბედისა ჩარხი,
შენ გიყურებენ ამდენი ხალხი.
ოჰ! ღმერთო ჩემო!
რა გინდათ ჩემგან, არ დამეხსნებით?
რას მიქადაგებთ—ნეტა რას ჰშვრებით?
მე ცოლს არ ვირთავ, არა და არა—
ვისაც შაურთავ ისიც შამცდარა.
აქ ზაქარია წინ წაუდგება,
მძიმეს ალერსით მას ეუბნება,
ყველანი გირჩევთ—შეირთო ცოლი,
პატრონი გინდა შენ ხარ ობოლი!
ჰხედავ ამ ქალსა, რარიგ ფითრდება?
ხანა წითლდება—ხანა ყვითლდება?
ღმერთი იწამე თანახმა გახდი,
ამდენს რჩევასა შენც თანა წარხდი!
იმწამსვე ღმერთსა, განუპყარ კელი,
შემწე არა მყავს, შენ თუ მიშველი,
ამ გაებისგან მიხსენ უფალო,
მივბრუნდი ვკითხე: ვინა ხარ ქალო?

ვინ შაგაცდინა საწყალობელო,
რა არის აბა ონოფრე დჳდელო,
შენი ბრალია ამის შეცდენა,
ეს ჩემი ტანჯჳა და გულის ტკენა!
საბრალო ქალმა, რა შამომხედა,
ცრემლსა აფრქვევდა, ძირს დაიხედა,
მარამ ჩემს გულსა — რა შეარყევდა,
გიგოლა ტირილს რას დაგიდევდა!
ყველა იქ მყოფი, მეხვეწებოდა,
თჳთ არ იცოდნენ, ვინ რას შვრებოდა,
გაგიგონიათ ძალით ჯჳარ-წერა?
ეს დჳდელი რალამ გამოაშტერა!
შეაფურთხე ეშმაკს, შჳლო გიგოლი,
შენ გეყოლება კეკლუცი ცოლი,
მე შენი ფიქრი რას მაუშლია,
გირჩევთ შეირთო, ბედს მოუცია!
ღმერთო შემიწყალე! რას მეუბნებით?
არა ვარ კაცი, არ დამეხსნებით?
რა უნდა იყოს ჩჳენი ცხოვრება,
თუ არ გვექმნება სიამოვნება,
რას ჩამაცივდით, ჩამომეხსენით!
ღმერთი იწამეთ და დამეხსენით,
ცოლს ვინც შაირთავს მოხუცებაში,
გამოადგება მითხარით რაში?.
სულ იმას უნდა ეფერებოდეს,
ფიანდაზათა ქვეშ ეშლებოდეს,
და თუ ნებასა არ აღუსრულებს —

საუკუნეთა ხომ მაიძულებს?.
ფრთებისა გაშლა მაშინა ნახე,
და შენს სახლშია შენ ისლა ნახე,
სადაცა ჰნებავს მხიარულდება,·
დაგიდევს თუ ქმარს ცეცხლი ედება....
ამისთანა საქმე განა იქნება?
ეს დარიგება ღჳდლისგან ითქმება?
არ მოვსწრებივარ ამ შამთხვევასა
ძალათა სწერდენ ამ გვარათ ჯჳარსა!
როს მოსვენებით ჩემთჳსა მძინავ,
და ნებიერათ ფეხებსა ვჭიმავ,
მითხარით ამას რა უნდა სჯობდეს
და ცოლის შერთვას როგორ ფიქრობდეს?
კჳლავ ზაქარია დაუდგა წინა,
დიდის ხნისა ხარ ვინ გითხრა, ვინა?
ჩემს თავს გეფიცვი არ მოგიკვდები
სამოცის წლისა ძლივაც იქნები!.
ამოიკითხოს შენი დავთარი,
ონოფრე ღუდელი აი აქ არი,
მეტრიჩესკში ხომ ხარ ჩაწერილი,
რამდენის წლისა ან ვისი შჳლი!
აი ჭკვიანი, გონებიანი,
დარბაისელი, ენა წყლიანი,
სამოცის წლისა არათ მიაჩნის
და აი როგორ ჭკვიანათა ჰსჯის?.
რა უნდა მექმნა, სრულად გავოცდი,
პირჯჳარს ვიწერდი, გულში ვილოცდი,

ნუ შემიყვანებ მე განსაცდელსა,
შენ მომარჩინე ამ სულის მტერებსა..
დედა-კაცს ოდეს შემოვყურები,
ჭკჳა და გონება მთლათ მეფანტება,
სისხლი მიშრება მთლათ გავფითრდები,
გამაკანკალებს გული მიკჳდება.
დედა-კაცისგან არა ვართ მკჳდარი?
ადამ არ იყო მისგან შემცდარი?
მაშ ჩემი მკვლელი ვით შევიყჳარო
და დრო იმასთან ვით გავატარო?.
ჩემს მტერს დაადგეს ამისთანა დღე,
როგორც რომ ახლა ვიტანჯები მე,
უნდა გავყიდო თავისუფლებსა?
ჩემი სიცოცხლე რადა იქნება?
ჯჳარის წერასა მე ვერიდები,
მე ვიცი რომე მალე მოვკჳდები,
ჩემი ცხოვრება რათ დარჩეს სხჳასა,
ჰსჯობს უანდერძო ჩემს ნათესავსა!.

ქალო!

სნეულება მჭირს მე საშინელი,
ყოველს საათში მტკივა მუცელი,
ანთება მომდის თჳალთ მიბნელდება,
და ხშირად გული მე მიღონდება!
რა რიგათ ვარ ხედავ გამხდარი—
აბა რათ გინდა ბებერი ქმარი?
ოდეს დღე ბედის შენ გასახარი
ბედი აიღე ნუ ხარ შემცდარი.

საწყალობელო ვინ შაგაცდინა,
და მოგიყჳანა შენ აქამდინა,
პირველი მტერი ისა გულის
უოქჳამს კიკოლას უნდა ცოლის.

აფქვრევდა ცრემლსა, საბრალო ქალი,
უცებ დაეცა ოჯ, ის საწყალი,
კიკოლას ამ დროს ფერმა გადაჰკრა,
და ჯავრობისგან თითქოს რომ დასცხრა.

დაფიქრდა მცირეთ თქჳა შავირთაო,
შუბლს შამოიკრა, შენ ჩემო თაო,
ეს რა ვსთქჳ აბა, რა მამივიდა,
ჭკჳა და გონება სად წამივიდა?..

რა გაეწყობა, ე'ეც გადამხდა,
ჩემი ცხოვრება ახლაკი წახდა
ვაჲ ჩემი ბრალი, რა მეშველება,
ოდეს კეშაპი შინ მეყოლება!

წჳთა და დავგჳთ ფული ვიშოვო,
ვინლაც ოხერი მაზედ ხარობდეს?
მე თითო გროში ტანჯჳთ ვიპოვო,
ისვი ლამაზათ ზედ ფარფარობდეს?

რა ვჰქნა არ ვიცი, როგორ დავუმალო,
ახლანდელ ამბავს, ახალ მოდასა,
რა წყალს მივეცე, როგორ შავძლო
კჳრაში მუდამ თითო კაბასა!

ვიცი ე'ს სხჳაზე გარდაამეტებს,
მაშინვე მამთხოვს ძჳრფასს ბაშმაკებს
თუ ჩაიცვამდეს ჩვენებურს ქოშებს—

და მიჴხედავდეს ძველს დედაკაცებს—
იქნება კიდევ თანახმა გავხდე,
ამდენს რჩევასა მეც თანა წარვსდე,
და თუ ეს ასე არ იქნებოდეს,
იპრანჭებოდეს ინაზებოდეს.—
ღმერთმა მაშოროს მე ჩემს დღეშია,
არვის გაჩვენო სახლისა გარი,
ფულის ჩხრიალი ჩემს ჯიბეშია,
არ მოვიშალო თუნდ ვიყო მკჳდარი!
თუ გავაჯავრებ, ზედ წამამჯდება,
ხაბარდას თავზედ გადამაფარებს,
და თუ რომ შჳლიც მას გაუჩნდება,
უეჭველია დღეს დამამწარებს!
ის მიეცემა მაშინ განცხრომას,
ძიძა მიშოვე მე ის მიბრძანებს,
მთლათ გამიოხრებს ამდენსა შრომას,
ჩემს კეთილ დღესა ეს გამიმწარებს!
მოსვენებითა ჩემთჳსა ვგდივარ,
ეს ტკბილი ლუკმა რათ გავიმწარო,
სად მინდა ვწევარ, სად მინდა ვზივარ,
გთხოვ მეუფეო, შენ დამიფარო!
ოროფრე ღჳდელი ჴსდგას შემოსილი,
ხალხი უყურებს, მოსდით სიცილი,
მოჴყევი რალა, ჯჳარი დასწერე;
დეე იჯავროს, შემდგომში, მერე!
დაიწყო მღჳდელმა ალილუია,
ქალს ღიმი მოსდის სიამოვნებით,

ღჳდელო კოჭლის, ღჳდელო ბლუის,
დაიცათ ცოტა, აბა რას ჰშჳრებით?
ამ დროს კიკოლა გაალებს ყბასა,
ქალო მიყურე, არა მაქჳს კბილი;
აბა რას ჰშჳრები საწყალო, რასა,
რით უნდა იყო შენ კმაყოფილი?
ჰხედავს კიკოლა, ხსნა არ მიეცა,
იქით აქეთა იყურებოდა,
პატარძლის წინა უცებ დაეცა,
გული უწუხდა, თითქოს კჳდებოდა.
ცოტა ხანს იყო თჳალ მირულული,
წყალს აპკურებენ, გაუხსნეს გული,
ბუტბუტებს ამბობს ეს ვინ მიმტერა,
ეს იყო ჩემი ბედისა წერა?. .
ადგა კიკოლა, ღილებს იგრავდ ,
საწყალობელი შაშლილსა ჰგვანდა,
გამიყჳათ კარზე ჰაერს შავხედო,
ცოტათი გული დავაიმედო.—
რომ ცოცხალი ვარ, არა ვარ მკჳდარი;
ამ დროს კიკოლას გაუღეს კარი,
აბა კიკოლი, თუ ღონე შაგრჩა,
აბა გაკურცხლე შენ ესლა დაგრჩა!
გამოხტა უცებ, ვითა გურდღელი.
თან მოზდევს ხალხი, ონოფრე ღჳდელი,
კიკოლამ ქუჩებს რა შაუხჳა,
თავისა ჩრდილსა, შინამდინ ჰსდია!. .
რა გაეღჳძა, ვერ ნახა ღჳდელი,

ვერცა საყდარი და ვეღარცა ერი,
ჰმადლობდა ღმერთსა, პირჯჳარს იწერდა,
და მსწრაფლათ სიზმარს, იგი აწერდა.!!!

დ. ბერიევი.

**1864** წელსა, ქ. ტფილისში.

---

## თერგისა და არაზის საუბარი.

ვინ არ სცნობს კავკაზს? განთქმულსა ყრმასა!
არარატელი ჰაიკის ძმასა,
ვისი სახელიც სდევს მის სამძღჳარსა,
კავკაზის მაღალ იალბუზის მთასა.
მას არად უჩანს სიბერე თჳსი,
ცას მიწვდომია სიმაღლე მისი,
ქურციკთ სადგური ჯიხჳთა მსხმოისი,
თერგის მშობელი და დედა მისი.
მას მჟავე წყალიც ჰყავს საქებარი,
თერგს გვერდზე უზის ვით მეგობარი;
ქჳაში ღუღუნებს ცივი და მწჳნარი,
თითქო თერგთანა აქჳს საუბარი.
როს მჟავე წყალსა ჰხვდება მაისი,
გონებას ჰფანტავს ტურფა ცმა მისი;
გარს მწჳანე მდელო, ყვავილი მთისი. .
ბერთაც გააყრმობს მუნ ხილვა მისი!. . .

ვნახე დასაწყისს თერგი მწყნარია:
მსწრაფლ გაირდება, შემდეგ ჩქარია,
კლდეთ ებრძვის, ხილვად შესაზარია,
ომის ცეცხლითა ნამდუღარია.
კლდენიც დაჭმლერენ მისსა მხნეობას,
თჳთ ქჳათ ჯეხებით!.. ნისლს სცემს კეობას,
ხან აღმა ბრუნვით იქმს დიდს მხნეობას,
თითქო ცას ჭვედრებს თჳს შემწეობას...
როს განვლის კლდეთა მიილტვის ველსა:
არაგჳს იგონებს თჳს საყჳარელსა.
იტყჳს: ვსთმობ ძმათა და კვლავ მშობელსა,
ანდერძს დავაგდებ მე ამ სოფელსა.»
«როდეს კავკაზით მე დავიბადე,
მთაზედ სირბილი მსწრაფლ მოვიწადე
დარიელის კლდე გავსტეხე! ვცადე...
მუნ ვახტანგ მეფეს გზანი უმზადე»
«ჩემ პირს ოსთ ჭბრძოდა დიდისა ხმითა,
თარხანს თავს სჭრიდა თავისის ხრლმითა.
გმირთა ებრძოდა, თჳთ მცირე წლითა!
წითლად მღებავდა მათის სისხლითა.»
«შემდეგ დამეხსნეს მაჭმადიანნი,
სულ ბნელში დავჭყავ ვერ ვნახე ცანი.
აწ რუსნი მფლობენ ვსცანი ზეცანი,
ნათლად დამადგეს მე იორდანი.»
არაგვსა უხმობს თჳს ერთსა ძმასა,
«ჩრდილოთ მოუმართავ კასპისა ზღჳსა.—
გიცი შენ სამხრივ ასტეხავ ზარსა.—

მტერსა არ მისცემ ჩჳენსა სამძღჳარსა!»
«როდესაც შეჰხვდე დიდსა არაზსა,
არ ჩემებრ ფიცხსა, მას წყნარს და ნაზსა;
უთხრა ახაროს ჰაიკაზანსა
მამა აღუდგა, ქართლოსს მის ძმასა!»
«ჰკადრე, თჳთ რა ჰქმნა? დიდ მონასტრები,
რათ დააყენეს — სპარსელთა ცხვრები?
აწ გაახარე — «შენც გასცოცხლდები»!
ვით — ძმა ქართლოსი — ზე წამოსდგები!»
«იგი ცამდისინ მიაწვდენს ქედსა
აღარ დაუხრის სპარსელთა წელსა..
დიდი მეფის ძმა!... დაუჰკრს ქედსა,
სრულ განანათლებს არარატელსა.»
რა ამას ისმენს არარატელი,
მოეგონება დრო უწინდელი;
მას თვალთ მოუვა მდუღარე ცხელი
თერგს უპასუხებს ცრემლისა მღჳრელი.
«მესმა სიშორით შენი თქმულები,
სრულ გეხსომების ჩემი წყლულები.
დამექცნეს სვეტნი მაგრად დგმულები;
მეფეთ მეფენი და განთქმულები.»
«აწცა ცალკერძოთ გული მეგზნება,
ორი ნაწილი მე მეტანჯება
დიდ მონასტრები, დიდი ქმნილება..
სპარსთ, ოსმალოში მომეფინება.»
«ბეროყკაფარი ცისე მაგარი
ეკკლესიანი მას შიგან მდგარი,

თურქთ შეუქმნიათ ბარგთა საყარი!...
რაღა მშთენია მე გასახარი.»
  მდუღრითა იტყვის «დიდნო მეფენო..
ტახტო, პორფირო მას ზედა მშვენო;
რომელი დღენიც წინათ მინათლეს
აწ ვინ მოვიხმო? ვით გავითენო?»
  «ვაღარშაპადო ქალაქო დიდო,
არტაშეთისა ქებულო ხიდო,
ტრდადის გარნო—ციხეო მშჳდო
სრულ დანგრეულნო! ვითღა გადიდო?»
  «არარატ მთანო სდგევხართ მარტონი,
შენს ნამყოფს მტერთა დაჰკვეთეს რტონი
ვარდან მოგიკლეს ომშიგან მხტომი;
ლეონც აღარ გვყავს რუბენანთ ტომი.»
  «ოჰ მაგონდების არშაკი ქველი
იგი შუბითა კლდის გამტეხელი!
ჩემი ჰაიკ ბელისა მკვლელი,
და ტიგრან დიდი მეფე ძლიერი.»
  «ტრდად მეფემან, უფლის მცნებითა
სრულად აღმავსო მონასტრებითა;
ნათელს ილებდენ მუნ კელრებითა,
სად აწ გრილობენ—ქურთნი მცხვრებითა.»
  «როს ჩრდილოთ თვისი კალთა დამფარა,
ყოველი სენი ჩემგნით გამყარა,
კვლავ ქართლოს ძმამან მე გამახარა
შორით მოიხმო მამა მამგვარა!»
  «აწ ერთ გვართთა ვიწყებთ ლხენასა;

აღარ მოველით ძველსა წყენასა...
შენზედა მტერზედ ვიწყებთ ფრენასა,
შენ სადღეგრძელოთ ჴელს ვსწვდით ზენასა.»

ივანე სომხიევი.

აგვისტოს 25-ს დღეს
864-ს წელს.
ვლადიკავკაზ.

---

Горныя вершины,
Спятъ во тмѣ ночной;
Лермонтовъ.

მთანი მაღალნი,
მიმშჳდებულნი,
ღამის ბინდში მიეცნენ ძილსა;
მყუდრონი ველნი,
ტკბილ საყნოსელნი,
გულს უგრილებენ შრომით ძლეულსა!
ხმა არ სით ისმის,
არარა იძვრის,
არც გზაზედ მტვერი, არც ხის ფოთოლი;
ჴფშვინვენ სიმშჳდით,
ცა ვარსკვლავებით,
ქჳეყანა ძილად გამზადებული!
რა გაქჳს ძმავ მგზავრო,
გულს სამწუხარო,
უშფოთებული რომ მიაჭენებ?

შემდეგ წამს ოდენ,
მიმოიხედენ....
და გულს მშჳდობით შენც განისვენებ! (*)

თ. გრიგოლ ორბელიანი.

---

(*) ეს ჩინებული ლექსი უნდა დაბეჭდილიყო ლექსე-ბის დასაწყისში, მაგრამ რადგანც გვიან მივიღეთ, ამი-სათჳს აქ იბეჭდება, რომლისათჳსაც მოტევებას ითხოვს რედაქცია პოეტისაგან.

რ.

## დალმატის იანკოს ცხოვრება.

**18617** წელში, როდესაც თათრებმა, ავსტრიელებმა და ვენეციალებმა მისცეს ერთმანერთის მტკიცე პირობა, რომ აღარსად აღარ მიეცათ ბინა ზღვის ავაზაკებისათჳს, რომელთაც უწოდდენ უსკოკებსა და, რომელნიც თითქმის ასის წლის განმავლობაში ხშირათ დასცემდნენ ხოლმე შიშის ზარსა სხჳა და სხჳა ხალხსა, სწყვეტდნენ და აოხრებდნენ იმათ უწყალოთ, სწორეთ იმ სისხლოვანს დროს ეკუთვნის ერთი სამწუხარო შემთხვევაც დალმატის იანკოსი.

იანკო იყო ერთი შეძლებულის გლეხ-კაცის შვილი, ხასიათით საკვირველი წყნარი და მხიარული; ეს თჳსებები იყო იმაში დანერგილი საკუთარის ბედნიერის გარემოებისაგან. ის გარდამატებით უყჳარდათ როგორც დედმამას, ისრე იმის დასა, ამისთჳს, რომ იმის მეტი იმათ არა გააჩნდათ რა ქჳყანაზედ; მამა არ განშორებია იმას თჳთ სიყრმიდგანვე; მინდვრის სამუშაო ჰქონდათ იმათ საკმაო. სრულს იმათს სიმდიდრეს შეადგენდა ცხვარი და ძროხა, მამა იანკოსი თითონ მწყსიდა იმათ და დაჰყავდა ხოლმე მცირე ყმაწვილიც თანა იმ დროს, როდესაც იმას ჯერ

სიარული არ შეეძლო; ხელში ეჭირა ხოლმე გომბალი, სარტყელში ერჭო დიდი დანა, მხრებზედ ეკიდა მარცხნივ გრძელი თოფი, მარჯვნივ გუდა, რომელშიაც უჯდა ხოლმე პატარა იანკო. როდესაც იმისი ჯოგები გაიშლებოდენ მწვანეს მინდორზედ და სიხარულით დაუწყებდნენ ბალახს ძოვასა, მწყემსი იანკო დაისვამდა შვილსა მუხლზედ და წყნარის ღიღინით ცდილობდა ხოლმე დაეძინებინა და მიეწვინა მწვანეზედ. ამ სახით, როდესაც იანკოს თვალწინ ედო ერთის მხრის პატარა თავისი მძინარე შვილი, და მეორეს მხრით ყოველივე ქჳეყნიური ქმნილება მზისგან გამთბარი,რომელიც იმ დროს თითქო სთვლემდა და ესმოდა დაწყნარებულს ბუნებაში, ხმა წყაროებისა, რომელიც გადმოჩახჩახებდენ სხჳა და სხჳა მთებიდგან, მაშინ მიეცემოდა ხოლმე ის სხჳა და სხჳა ფიქრებსა: ჰკითხავდა გონებაში თავის თავსა: თუ რა მოელის შემდგომში იმის სახლობასა, თჳთ იმას, და საკუთრად იმის პატარა ყრმასა, და ოდესმე გონებით ჩაიხედავდა ხოლმე თავის გრძელს წარსულში, სადაც მრავალი რამ სისხლოვანი და სამწუხარო წარმოუდგებოდა ხოლმე იმას სახსოვარში.

გავიდა ამასობაში დრო და პატარა იანკოც წამოიზარდა და შეიქმნა იმ ხნისა, რომ შეეძლო ეპოვნა მიმალული სადმე ძროხა. მაშინ ის თითონაც ხშირათ უჯდა ხოლმე მამასა და ჩაჰყურებდა იმას თვალებში რომელსაც სთვლემდა მინდორში, დაიდებდა მუხლზედ მამის თოფსა და უყურებდა ნახირსა როგორც იმისი სრული პატრონი. მამა იმისი კი იმ დროს თან და თან უძლურდე-

ბოდა, და თუმცა ბილიკები, რომელზედაც ის დიდ ხანს დადიოდა, იყვნენ ისევ ისინი, მაგრამ ყოველს შეღმართოზედ ასვლაკი უჭირდა ხოლმე. «მე ვხედავ, რომ თან და თან ვუძლურდები, უთხრა ერთხელ იმან თავის შვილსა; დრო არის ჩემი ადგილი ახლა შენ დაიჭირო. წავიდეთ, გავრეკოთ ერთი კიდევ ჯოგი, და იქ მინდორში, სადაც მე შენ გილოლიებდი და გივლიდი პატარასა, სადაც ყოველი ქჳა, ყოველი მუხის ხე და ნაკადული, შენი ნაცნობია, იქ შენ ჩააბარებ მთელს ჯოგსა.

ისინი წავიდნენ. ჯოგი ხმიანობდა; მოზვრები რქიანობდნენ. ცვრიანს მწვანოვანს მოჰქონდა სიმტკნარე ნაკადულების და ნოტიოს ვაკებიდგან. ჯერ არ იყო კიდევ მოხსნილი ნისლი; მზე ალერსით უყურებდა ახლათ გაღჳძებულს ქჳეყანას და თითქო არ ეშურებოდა, რომ სრულებით განექარვებინა იმისი ღამის თვლემა; აქა-იქ ფრინველებმა იწყეს ხმიანობა და გალობა. მოხუცი და უმაწვილი იანკოები მიდიოდნენ ჩუმათ, ბოლოს შეუდგნენ ერთს შეღმართსა, საიდამაც ნახირი უნდა დაშვებოდა ერთს ღელესა.

«შევიცადოთ აქ პატარახანს! უთხრა ნელის ხმით მამამ შვილსა. ისინი შესდგნენ. აი ჩემი კომბალი! განაგრძო იმან: ორმოცდა ათი წელიწადია რაც ეს ჯოხი ჩემს ხელშია და მე ეგ მიყვარდა, როგორც ჩემი თოფიც; თუმცა მე, მართალია დავუძლურდი, მაგრამ მაგის ზიდვაკი კიდევ შემეძლო, და უეჭჳლია ჩემი მხრები ბევრჯელ იდარდებენ მაგისთჳს. აი ეს გუდაც, რომელშიაც შენ მე მიჯექი ხოლმე, როდესაც პატარა იყავი; ღმერთსა ვსთხოვ

რომ შეინახო ჩემსავით და იმავე სიყვარულით, შენც ოდესმე დაგუხვდეს ხოლმე შენი პატარაცა! შენ იცი როგორც გაუფრთხილდები, და მოუვლი ჯოგსა, რომელიც ზრდიდა შენს წინაპარსა.» იმ დროს ნახირი დაეშჳა დელისკენ. მოხუცმა იანკომ დაადევნა იმას თვალი, მერე გარდახედა მთების წვერსა, ტყეებსა, ხეობებს, ვაკეებსა და სთქჳა: «ოხ რა მშჳენიერებაა აქა, არაოდეს ასე მშჳენივრათ არა მჩჳენებია მე ეს ადგილები, მაგრამ მოვიდა დრო, როდესაც მე უნდა გამოვეთხოვო ამ ადგილებსა! მშჳდობით!» აქ მოეხვა თავის შჳლსა, მიიკრა გულში, გადასწერა ჯჳარი, დაჰკოცნა და დაბრუნდა მარტო შინა, უკან მიუხედავათ. არც ერთი ცრემლი იმის თვალიდგან იმ დროს არ გადმოვარდნია; არც ერთი ოხვრა არ ამოსულა იმის გულიდამ!

მოხუცი ამის შემდგომ შეუდგა მუშაობას მახლობლად. როდესაც უმაწჳლი იანკო მორეკდა ხოლმე შინა საქონელსა, უთოვოთ მიეგებებოდა წინა, და სასიამოვნო იყო ხოლმე მოხუცისათჳს ნახვა თუ რა მზრუნველობით უვლიდა შჳლი იმისი თავის საქონელსა. ღამით, ვახშმის დროს, ხშირად გამოჰკითხავდა შჳლსა; თუ რა ადგილებში აძოებდა ის საქონელსა, სად უფრო მეტი ბალახია, ხომ აღარ მიიმალვის ხოლმე წაბლის ფერი ძროხა, ხომ არ ამოშრალა ღელე, ხომ ისევ მაგრათა სდგას ის მუხის ხე, რომლისაც ფოღოროში იბუდებენ შოშიები, ხომ ისევ ბევრი სხედან ტბაზედ გარეული ბატები. მამამ წინდაწინ იცოდა თუ რა პასუხებს მიიღებდა შჳლისგან იმ კითხვებზედ, მაგრამ იმისთჳს სასიამოვნო

იყო განმეორება იმ საგნების სახელების, რომელთაც ორ-მოცდა ათის წლის განმავლობაში ყოველ დღე სიხარუ-ლით ის მიუალერსებდა ხოლმე. ერთხელ იმათ სახლში შეიქნა რაღაც მოძრაობა და ფაცურობა: მამა არჩევდა თჳთ უმჯობესს ბოსტნეულებსა და ხილსა; დედა იანკო-სი ზელდა ცომსა. და იანკოსი ხის თაბახზედ აწყობდა თაფლის ფიტსა. იყო მოგროვილი რამდენიმე ხის სტო-ლი და სკამი, ყველა სუფთათ, გაფხეკილი და გარეცხილი; მეორეს დღეს ელოდნენ სტუმრებსა იანკოს ქორწილში. თითონ ყმაწვილის იანკოს ნებაზედ იყო შეკარდნილი აერჩია საკლავათ ორი საუმჯობესო ცხვარი, ერთი ძროხა და ერთიც ხბო. ყოველი ამ გვარი შემთხვევა ყოველგან და ყველასთჳს ხომ სასიხარულო უნდა იყოს, მაგრამ განსაკჳრველი იყო ისა, რომ ამ გარემოებამ არა თუ გა-ამხიარულა იანკო, არამედ მისცა ის რაღაც ნაირს დარდსა, რომელსაც ცხოველს კი შეჰხედავდა და მოინდომებდა იმის დაჭერას, ყველა ენანებოდა, ზოგი ერთისათვის იმას ბევრჯელ ულაქუცებია; ზოგი მგლისათჳს წაერთმია, ზოგი ავათმყოფობისაგან მოერჩინა, ასე რომ არც ერთს ცხოველზედ ხელი არ მისდიოდა, მაშინ, როდესაც იცო-და კი, რომ უმისობაც არ იქნებოდა, ამიტომ რომ სტუმრებს გაძღოლა უნდოდა. «ჩუენთჳს ამათის ხორცის «ჭამა შეადგენს გმაყოფილებასა და განცხრომასა, ამბობდა «იანკო იმ დროს და ამათთჳსკი ტანჯუსა და სიკუდი-«ლსა, როდესაც წარმოვიდგენ რა რიგათ მოჰკუებიან «ისინი დანის ქუეშ ბღავილსა, გული გადამიბრუნდება «ხოლმე, აი ქვლა ისინი დარბიან მხიარულათ ბალახზედ,

«ხშირათ მიყურებენ მე სიყუარულით, მეკვრიან, როდესაც «რისიმე შეეშინდებათ; იმათ გონიათ, რომ მე ვარ იმა-«თი ერთგული მეგობარი, და მე კი უნდა ავარჩიო ისი-«ნი დასაკლავათა! არა, ჩემი ხელი ვერ შეეხება ვერც ერთს «იმათგანსა; უმჯობესია, რომ სხუაგან ვიყიდოთ სახო-«რცე,ვინემ მე გავისვარო ხელი იმათ სისხლში.»

როდესაც ამ გვარის ფიქრებით დააწყნარა თავი, იმან იგრძნო, რომ გულზედ რაღაც რამ მძიმე მოეხსნა; გუ-ლი გაუნათლდა; როდესაც წარმოიდგინა ბედნიერება, რომელიც მიელოდა მოკლეს ხანში, იმის უმაწვილს ძარ-ღვებში გაითამაშა სისხლმა და მოჰყვა ღიღინსა. და რა-დგან ის დღე ეჩუენა ერთობ გრძლათ, ჩვეულებაზედ ადრე წაირეკა შინ საქონელი.

მოაწია საღამოს ჟამმაც; დასდგა ის საკვირველი აუხ-სნელი წამი, როდესაც ბუნებაში ყოველივე ქმნულება თი-თქო ფიქრობსო, თითქო იძინებსო იმ საშინელის ძი-ლით, როდესაც ქუავდება თჳთეული სულთქმა ჯვარისა, სურვილისა, ლოცვისა და ზესთა შეგონებისა. იანკო მდუ-მარებდა; ისმოდა მხოლოდ ხმა საქონლის ჩლიქებისა. იმ დროს უცეფ გავარდა სადღაც თოფი. იანკო ათრთო-ლდა. თითქო დანა ჰკრეს გულშიაო. მერე დაფიქრდა და სთქუა: «უთუოთ მონადირემ ესროლა თოფი გარეულს ღორსა, რომელიც ამ დროს სვამდა წყალსა, ან მწყემსმა ვინმე დასცა ძირს ჩუენი საქონლის მტერი მგელი.»

მაგრამ მოისმა თოფის ხმა კიდევ და კიდევ, ასე რომ მთებმა მოსცეს ხმა. «აქ რაღაც ანბავია, აქ სწორეთ ჩხუ-ბია, ნუ თუ ეს თათრების თოფების ხმაა? სთქუა ბოლოს

ჰგნესით იანკომ. ძლივს წარმოსთქუა ეს სიტყჳები და შეხედა, რომ სხჳა და სხჳა ხეობიდგან საზარელის ყჳრი-ლით დაეშვნენ სასტიგნი თათრების ცხენები. ერთს წამ-ში გაივსო მთელი ვაკე. შეშინებული ზოგი თრთოლით ეკროდა კლდეების კედლებსა. იანკოც მიცოცავდა მაღალს კლდეზედ. რამდენიმე თოფის ლულა იყო იმაზედ მიმარ-თული, დაუწყეს სროლა, ტყჳებისაგან ნამტვრევი კლდების ნამტვრევები ეყრებოდა იმას პირში, შიშმა მისცა იანკოს ახალი ძალა და იმან მოასწრო ასულიყო იმისთანა სიმა-ღლეზედ, სადაც ტყჳა ვეღარ მისწჳდებოდა; ის მართალია გადარჩა სიკჳდილს, მაგრამ ეს მცირეთ ანუგეშებდა იან-კოს. იმას ახსოვდა, რომ იმ კლდეებს იქით იყო იმისი სახლი, სცხოვრებდნენ იმის მოხუცებული დედ-მამა და ყმაწჳლი და, და იმ სახლის გარეშემო ერტყნენ სასტი-გნი შეუბრალებელნი მტერნი. იმან აიწია კიდევ მთის წვერზედ და გადიხედა იქით, მაგრამ საშინელი სანახავი რამ წარმოუდგა იმას თვალ წინა; იმისი სახლი იყო ცე-ცხლ მოდებული და გარეშემო დარბოდნენ უწყალო მტე-რნი და სტვირთავდნენ ცხენებს გლეხების ღარიბის მო-ნაღვაწითა; მონაღვაწისათჳს არა ფიქრობდა იმ დროს იანკო. უძჳრფასეს ყოვლის მონაღვაწისა იყჳნენ იმისთჳს იმისნი მშობელნი. ბოლოს თვალი მოჰკრა შორსა, რომ ერთს თათარს ეტაცნა ხელი მოხუცისათჳს თმაში და მი-ითრევდა თხრილისკენ. დაინახა, რომ გაიელვა ხმალმა და თავი მოკვეთილი კაცის ლეში ჩავარდა თხრილში. ეჭჳ აღარ იყო, რომ ის იყო იმის მოხუცი მამა. გარდა ამი-სა ხედავს იანკო რომ ვიღაც ქალი, თმა გაწეწილი, მიე-

კრათ ცხენზედ, და მეორე მოხუცი ქალი იდგა მუხლზედ და ჰკოცნიდა ფეხებსა და ცხენის უზანგსა ბოროტ მოქმედისა. ეს იყო დედა, რომელიც ევედრებოდა უწყალო მტერსა რომ არ წაეყვანათ იმისი ქალი; როდესაც თათარმა ჰკრა იმას ხელი და უნდოდა წასვლა თავის ნაშოვრით, მაშინ მოხუცი დედაკაცი შეახტა ცხენსა, ჩაურჭო წელში დიდი დანა, წაართვა ქალი, და გაიტაცა მხარზედ შედებული როგორც პატარა ბავშჳ. ამ დროს მოეწია იმას ორი სხჳა თათარი და იმ დროს, როდესაც ის იყო რომ ართმევდნენ დედას შჳლსა, ჩავარდა მოხუცი ცეცხლის ალში და ჩაიტანა თან თავისი ქალი, ამას ყოველსავე ხედავს იანკო, ეწვის ნაწლევები, ბოლოს მოკლული აუწერელის სასოწარკვეთილებით იანკოს შემოეყრება გულსა და უგონოთ დაეცემა ძირსა! ოჰ, რა ბედნიერი იქნებოდა იანკო, რომ იმას არაოდეს აღარ დაბრუნებოდა გონება!

მაგრამ გონება ისევ დაუბრუნდა იმასა; ის მოეგოგონსა მეორეს დღესა. მზე მაღლა იყო, როდესაც იანკომ შენიშნა, რომ ის ეგდო თხრილში, პირი ჰქონდა სრულიად დაფხაჭნილი; მჳლები სტკიოდა. გული დამუჯებოდა ცივის უგრძნობლობით; თვალები უჭრელდებოდა, ტჳნი ერყეოდა. ის წამოდგა, მივიდა უგრძნობლათ ღელის პირზე, დალია წყალი, მოიბანა სისხლი პირზე და ხელებზედ, დაწვა იქვე ქვაზედ და მიეძინა. თუმცა ამ ძილმა მცირეთ გაამაგრა იანკო, მაგრამ როდესაც გამოეღჳძა, ყოველივე წარსული წარმოუდგა ცხადად; უწინ ყველა ეჩჳნებოდა იმას სიზმარივით, და ახლა კი გრძნო

სრულის თჳსის არსებით თავისი დაღუპული წარსული, თავისი საზარელი უმაგალითო უბედურება და ათრთოლდა მხეცობაჲკედ თათრებისა, ხოცვა იმათგან ვინც მოხვდებოდათ, ცეცხლი იმათგან მოტანილი, დაღუპვა სახლისა, იმისის დისა და დედმამისა, ესე ყოველიკე განუმეორდა იმას მე-ხსიერებაში, იტაცა ხელი თავში, და აღარ მგრძნობი აღარც დაღალვისა და აღარც ტკივილებისა გავიდა თხრილიდამ მინდორზედ, იყურება აქეთ იქით თავისის ტანჯულის თვალებით ცისა და ქჳყნის მავედრებელით, და წარმო-უდგება: თითქო იმის თვალწინ სდგას ქოხი, დედა იმისი წველის ძროხასა, მამა მართამს ურემსა, და იმისას უჭი-რავს ხელსაქმე, აგდებს ხელიდამ და მირბის ძმის მისა-გებებლათ. მაგრამ როცა დაფიქრდება იანკო, გარკვათ გრძნობს, რომ ის სულ ყველა ოცნებაა, რომ განქრა ყოველი ესე როგორც მშჳენიერი სიზმარი. ხედავს მხო-ლოდ რომ აქა იქ ჰყრია დამწვარი ნიგუზლები, გამქრალი ნახშირი ანათებს მზეზედ; გამშრალს სისხლის გუბეს აყ-რია მსუბუქათ ნაცარი; ბალახი, ყვავილები, ბუჩქები, გა-რეშემო ნასახლარისა არის გაქელილი და გასვრილი სი-სხლით; მაშინ, როდესაც ცოტა მოშორებით ვაკე და ტყე არიან მშჳენიერათ მწვანენი და ცა მოწმენდილი! იანკო დაეცა ცივს ნაცარზედ, დაუწყო იმას კოცნა როგორც ძჳრ-ფასს საფლავსა, და მოჰყჳა მოთქმით ტირილსა. და ერ-თის სიტყვით ეს იყო ის საშინელი და საუბედურო ალა-ბი, რომლისაც მსგავსი, იქნება ქჳყანაზედ იშჳათათ რო-დისმე მომხდარიყოს. ასე გაატარა იმან მთელი დღე და ღამე. ბოლოს გამოახჳა ტილოში სამი მუჭი სისხლით

შელებილი, ჩაიდო ის უბეში და გაუდგა გზასა. დადიოდა იანკო რამდენსამე დღეს მოშორებით მცხოვრებლების სახლებისა იზრდებოდა როგორც მხეცი სხჳა და სხჳა ნალახითა და ხაბახუბა..ი, რამდენჯერმე წააწყდა ის სხჳა და სხჳა ნადირსა, მაგრამ საუბედუროთ არც ერთმა ხელი არ ახლო იანკოსა, როდესაც იმ განმარტოებამ, მხეცების კჳალებმა, ტყის სიბნელემ და საშინელმა ქარის ხმამ დაურღვიეს იმას ტვინი; ველარ შეძლო მეტი და გავიდა იანკო ისევ ვაკეზედ, იპოვნა ერთი ბილიკა გზა და მიჰყჳა იმ გზასა, ნახევარ საათის შემდეგომ იგრძნო ნატიუსლის სუნი და სთქჳა: აქ ვიღაც მცხოვრებნი უნდა იყვნენ. ვინ იცის თუ აქაც სცხოვრებენ ჩემსავით დამწვარ დადაგულნი უბედურნი. მივიდა ახლო და დაინახა ქოხი, იმის წინ ენთო მცირედი ცეცხლი, იმის მახლობლათ ეყარა დამტვრეული სხჳა და სხჳა გამოკრული პარკები. ცეცხლის პირს იჯდა ყმაწვილი ქალი, ფერ მკრთალი, დასუსტებული, თავ დაღუნული და დიდად მწუხარე. იანკომ ამოიოხრა და შესდგა. ძნელი გამოსაცნობი არ იყო, რომ ის უნდა ყოფილიყო ერთი იმ უბედურთაგანი, რომელსაც თავი დაეცვა აკლებისა და სიკჳდილისაგან. ბოლოს იანკო წადგა წინა და ნახა, რომ ის ქალი იყო იმისი დანიშნული. როდესაც ქალმა დაინახა, შეჰყჳრა სიხარულის ხმითა: მაგრამ იმავ წამს წამოუვიდა ნაკადული ცრემლისა რომელიც აჩრჩობდა და ართმევდა ლაპარაკის ნიჭსა.

აქ მარტო რათა ხარ? რა იქნენ თქჳენები, ჰკითხა იმას ბოლოს იანკომ.

ყველა დახოცილნი არიან, მიუგო ქალმა ძალ დატანე-

ბით, თითქმის ჩურჩურით. სულ ერთიანათ დახოცეს უწყალო მტრებმა და გადავრჩი მე მარტო უბედური!!

მაშინ იანკო მოუყჳა იმას წვრილათ თავის უბედურებასა; ყმაწვილი უგდებდა ყურსა მტირალს მოლაპარაკეს, ურევდა ცრემლსა იმის ცრემლში და უყურებდა ცასა სავსე თვალებით.

იცი რა გითხრა, უთხრა იმას ბოლოს იანკომ, მოდი წავიდეთ ეხლავ მღჳდელთან, საჩქაროთ გადავიწეროთ ჯჳარი და მოვშორდეთ ამ ადგილებს, სადაც თჳთეული ქჳა მოგვაგონებს ჩჳენს დამწვარს ბედსა.

მართლათ კარგი იქნება წავიდეთ აქედამ, უთხრა ყმაწვილმა ქალმა; სადაც მივიხედამ სულ სისხლსა ვხედავ. შეშინებულის ფრინველის ხმას რომ გავიგონებ, მგონია კაცსა ჰკვლენ მეთქი და მოჰყჳა კიდევ აქ მოთქმით ტირილსა. როდესაც მცირედს დაშოშმინდნენ, აიკიდეს თავისი გადანარჩენი ნალჳაწი და გასწიეს და მივიდნენ მახლობელს სოფელში. ის სოფელიც იყო ისეთი, რომ ცნობა აღარ შეიძლებოდა; ეტყობოდა რო იმასაც დასცემოდა თათარი. იქ მღჳდელმა საკუთარის გრძნობით და მონაწილეობით მოუსმინა იმათ სამწუხარო ისტორია და გაუძღჳა იმათ პირდაპირ ეკკლესიაში. ეკკლესიაც იყო აკლებული, ხატები გაგლეჯილი, დამტვრეული. გადარჩენოდა მხოლოდ განკალის თავზედ მაცხოვრის ხატი. წყნარი დასი მაცხოვრისა ზევიდამ დაჰყურებდა ორს უბადრუკსა და იმათ ეჩვენებოდათ თითქო იმის ღჳთაებრივის თჳალისგანაც მზა იყო გადმოვარდნილიყო ცრემლი.

საშუალ მტაცებლობისა და ავაზაკობისა, საშუალ დანა-

ლეწთა საეკლესიო ნივთებთა, ცარიელს და მყუდრო ეკლესიაში, ბარბაროსების ხელთაგან შებილწულს და აკლებულში, საიდუმლოსა შესრულებულსა ორს დიდს უბადრუგზედ, ჰქონდა რაღაც ძლიერი დღესასწაულებითი, გარნა გულის მომწყვლელი სახე. მღუდელმა ყმაწჳლმა კაცმა, როდესაც დაასრულა საიდუმლო, დალოცა მექორწინენი და უთხრა: « წადით მშჳდობით; თქუენ ორთავე გაქუსთ «ერთნაირი მწუხარება, და ერთნაირი უბედურება, ღმერ-«თმან ინებოს გქონდესთ ოდესმე ერთნაირი ბედნიერება და «სიხარულიცა! ეძიეთ ნუგეში პატიოსანს შრომასა და კე-« თილ მოქმედებაში,—აი ეს არის უმჯობესი მსხვერპლი «ღუთისათჳს!»

ამის შემდგომ ორის წლის განმავლობაში იანკო და მარიამ სდგებოდნენ ქირით სხუა და სხუა ადგილსა და მით შოულობდნენ პურსაცა და ფულსაც, როდესაც იმათ შეკრიბეს მცირედი ფული, იყიდეს ყოველი თევზის საჭერი იარაღი გააკეთეს თითონ ნავი, ჩასხდნენ და გავიდნენ მცირეს კუნძულზედ, რომელსაც ჰქჳან ტრაუ, და დაუსხდნენ იქა. ის კუნძული იყო ყოვლის ფრით ბუნებისაგან შემკული. იქ იყო მშუენიერი სათიბები, ტყეები და იმათში მრავალი კაკლის ხე. მას გარდა იქ იყო მრავალ რიგი ნადირი. ჰაერი ჰქონდა მშუენიერი; უმეტესი ნაწილი წლისა იყო თბილი, ზაფხულის სიცხეს აგრილებდა ზღვის გრილი ნიავი, ჩრდილი ტყისა. ყმაწჳლმა ცოლქმარმა საჩქაროთ გაიკეთეს თავისთვინ სახლი, მოეწყვნენ ავეჯულობით და თუმცა ცდილობდნენ, რომ დაევიწყნათ წარსული თავისი უბედურება, რომელიც ღრღნიდა იმათ

სულსა, მაგრამ ხშირათ მოაგონდებოდათ ხოლმე თავისი უბედურება, და ხან ქმარი და ხან ცოლი ხშირათ იტყობდნენ ხოლმე: ოხ ჩჳჱნი მშობელნი, რომ ეხლა ცოცხალი ყოფილ იყჳნენ, რა ბედნიერნი ვიქნებოდით ჩვენცა და ისინიცა; იქნება ისინიც აქ ჩჳჱნთან გადმოსახლებულ იყჳნენ!.... მაგრამ ყველამ იცის, რომ მუშა კაცი დიდ ხანს ვერ მიეცემა სხჳა და სხჳა ფიქრებსა, თორემ ამით ბევრს დაჰკარგავს საჭიროს დროსა. და ამისთჳს ისინი შემდგომ მწუხარებეების ფიქრებისა, მოჰყვებოდნენ სხჳა და სხჳა მუშაობას და გამჭრიახობასა. არ შეიძლება ვთქოთ, რომ იმათ ეცხოვრნათ სრულებით განმარტებით, ხშირათ მიაგებდნენ ხოლმე იმ წყლის პირსა, სადაც იმათ ედგათ სახლი და სხჳა და სხჳა ნავი, და ხან ერთი და ხან მეორე ეძებდნენ ხოლმე იმათთან ღამით ბინასა. ხანდისხან იქ მივიდოდა ხოლმე ვენეციის ანუ ბერძენთ ვაჭარი და ყიდულობდა იმათგან მატყლსა, და სხჳა და სხჳა ნადირის ბეწვეულობას. გარდა ქათმისა იანკოს ცოლმა მოაშენა შინაური გავბები, რომელნიც ჯოგათ დადიოდა სახლის გარშემო. ამ თითქმის ველურს მეურნეობაში, რომელშიაც იყო ერთათ შეერთებული ხვნა და თესვა, პირუტყვის მოშენება, ნადირობა და თევზის ჭერა, იყო მრავალი სიტკბოება, მით უმეტეს, რომ ყოველივე იმათგანვე ეჩვენებოდათ ადვილ საქმეთ. თუ რომ ერთი რომელიმე იმათგანი არ მისცემდა ხელსა, მეორე და მესამე ხელობა მაინც უთოვოთ აძლევდა ხელსა, და ამისთჳს იმ დამღალავის მზრუნველებისა, რომელიც მხიარულს კაცს შეიქს დაღრებილათ არა ვითარი ნიშანი ცოლ-

ქმარში არა სჩნდა. უხვება მოწმენდილის ცის ქჳეშ, ნაყოფიერება მიწაზედ აძლევდა იმათ ცხოვრებასა წყნარსა და ბედნიერს სახესა. იმათ გარეშემო სდუღდა სიცოცხლე და ტურფა ბუნება. ეს მოაგონებდა თითქმის პირველ ყოფილს ადგილებს, სადაც კაცი მიდიოდა ვითარცა სტუმარი დღესასწაულში.

მაგრამ უმჯობეს მშჳენებათ იმათის სიცოცხლისა და თჳთ ტკბილ ნუგეშათ იანკოსა და მარიასათჳს იყო იმათი პატარა შჳლი. იმისგან ცხოვრება იმათი სჩანდა სავსეთ, ყოველი იმათი მუშაობა განცისკროვნდებოდა განმაცხოველებელის შუქითა. იმისის ტიკტიკისა, ალერსისა და მშჳენიერის თჳალებისაგან, კუთხე იმისის ქოხისა, სამუშაო მინდორი და თითქმის ახლათ გამოჩეკილი შინაური მფრინველი მიიღებდა მხიარულს სახეს.

ერთს წყნარს საღამოს იმათი საქონლის ჯოგი მოვიდა შინა და წამოწვა იმათ ქოხის გვერდზედ. იანკო, შემდგომ შინაურის საჭიროს სამუშაოისა წავიდა ანკესებით წყალზედ თევზის საჭერათ; მარია ზის წყლის პირზედ, ართავს ჯარას და არწევს აკვანსა. რა რიგის სიყვარულით და ფუფუნებით ღიღინებს იმისი დედობრივი სამღერალი, რომელიც იმას ჩავარდნოდა სულში იმისის დედისაგან, როდესაც ის თითონ იყო პატარა! ცა მშჳენივრათ შეიღება მზის შუქებისაგან; არც ერთი ფოთოლი ხისა არ ირხეოდა; მხოლოდ ისმოდა ხმა წყლის ზვირთებისა, თითქო ნანას დამღეროდაო ანუ ლოცავდა დასაძინებლათ ვისამე ქჳეყნიერს შჳლსა.

ბოლოს დაბინდდა. იანკომ მოიტანა თევზი. იქვე

წყლის პირზედ აანთეს ცეცხლი და ამზადებდნენ ვახშამსა. გვამლის სუნზედ მიდიოდა ხან ძროხა და ხან ცხჳარი და დაწოლილნი ალერსით შეჰყვირებდნენ თავიანთ პატრონებსა, თითქო შეტრფიანო იმათ ბედნიერებასა. ამ გვარი წყნარი საღამო ყმაწჳლის ცოლ-ქმრისათჳს მრავალი იყო. ბედნიერი არის კაცი, რომელსაც შეუძლიან წარმოიდგინოს თავის სიცოცხლეში ერთი მაინც იმ ნაირი საღამო!

იმათი შჳლიც ნიადაგ წმინდა ჰაერში, სისუფთავესა და ნებიერებაში, მზრუნველობასა და დედის ალერსში იზრდებოდა, იმღებოდა და მაგრდებოდა. იმისი მრთელი და წაუმხდარი სისხლი ისატყბოდა ყოველს იმის მხნეობით მოძრაობაში, თუარ ყირმიზ ლოყებსა და თამამს შეხედულობაში, ოთხის წლისა დასდევდა ის ბატკნებსა, და ადიოდა ხეებზედ. დედ-მამა იმისი იყჳნენ იმით სრული ბედნერნი და საკუთარის გმაყოფილებით წარმოიდგენდნენ იმ დღესა, როდესაც ის შეიძლებდა პირველათ სამუშაოზედ გასვლასა.

თუ ღმერთმა დღე მისცა ივარგებს ჩჳენი ბიჭი, მალე მოვა ის დრო, როდესაც ეს შეიძლებს თოფის ზიდვასა, ჰსთქჳა ერთხელ იანგომ.

რათ უნდა თოფი, უთხრა მწუხარის ხმით, ცოლმა? სიკეთისათჳს არ არის მოგონილი ის წყეული კაცის მკვლელი და სულის წამწყმედი იარაღი; ყოველი ჟანგი იმაზედ სისხლსავით იყურება; ის არის ავაზაკის თათრისათჳს გამოსადეგი და არა ჩემის უმანკოს შჳლისათჳს აქ მცირეს ხანს გაჩუმდა მარი, და მოუვიდა თვალებზედ ცრემ-

ლი. ამ ლაპარაკმა, უცებ თოფის ხსენებამ ერთბაშათ აუშალა იმას ყოველი დარდი, ყოველი საზარელი წარსული.

გმარა მაგდენი დარდი, უთხრა იმას ქმარმა, რასაც მიწაა აქჳს წაყრილი, იმას, ხომ იცი, გულარაფრით დააბრუნებ.

ეგ მართალია ჩემო იანკო, მაგრამ სულიდამ სრულებით ამოფხვრაც მწუხარებისა შეუძლებელი ყოფილა.

მაგას მართალს ამბობ მარი, უთხრა იანკომ. მეც ხშირათ ვცდილობ ხოლმე სრულებით დავივიწყო უწყალობედი, მაგრამ ხანდისხან დამიწყებს ღრღნასა, გული და ხშირათ მამაგონებს წარსულსა.

ქრისტე იყოს შენი მფარველი! უთხრა ბოლოს შეშინებულმა მარიამ და გადასწერა ჯჳარი თავის გაყსა. ღმერთი მოწყალეა, გმარა რაც ვიტანჯეთ!

გავიდეთ დროზედ სამუშაოთ, უთხრა ბოლოს იმას ქმარმა და მუშაობაში გაივლის, როგორც კჳლავ გაუვლია, ჩჳენი დარდები. მე დღეს უნდა ტყეში წავიდე, საქმე მაქჳს; გინდა შენც წაგიყვანო, კი შენ ჩემო პატარა თვალფრიალა ვერბო! უთხრა თავის პატარა ბიჭსა.

ამ სიტყვებზედ დედამას გულით გაეცინათ და გამორდნენ ერთმანერთს, როდესაც იანკო თავის პატარა შჳლით დარჩა მარტო ტყეში, მოაგონდა მაინც კიდევ იმას თავისი უწინდელი მწუხარება და მოჰყჳა უწინდელის მწუხარებით ღიღინსა.

აჩოჩქოლდნენ ზვირთები და ლელვას მოჰყჳა,
ვით ადრე მის სიღრმეში მევსვ ისე ის ქჳა.
რაც უნდ გულს სურდეს ბგერა, მაინც შიგ ქჳა მევს,

და ამ ქჳას დიდის ფიქრით, ვერ გზით ვერ გასტეხს.
ეჰ, მაშ ვირბენ, გავერთხმი ნამიანს მიწას,
და იქნება შევამსხვრევ ქჳას გულის ფიცარს.
არცა მაშინ აიღებს ხელსა ჩემზედ ვაება?
იქაც უნდა მივიღო მის გველისგან წამება?
დაე იქაც მამნახოს მაზე კარგს ვერც იქ ვნახავ,
და სხჳა გჳარ მწუხარებით მე მრთელს ტანჯჳას სულ შევსვამ!

შჳლი იმისი ჯერ ყურს არ უგდებდა მამის სიმღერასა დარბოდა ტყეში და ჭკრეფდა ხან ყვავილებსა და ხან სოკოსა, და ბოლოს, როდესაც იანკომ თან და თან მოუმატა ხმასა, ბავშვი შეეშინდა და მიეკრა მამას გულში; ზოგი ერთ მამის სიტყვები მაგრამთ ჩაებეჭდა უმაწჳლს გულში და დაუწყო იმან მამას კითხჳა: იანკო, შენ იმღერი განა?

—ჰო, ვიმღერი შჳლო.

—რათ იმღერი მაგ სიმღერასა? ის არა სჯობს რომ იმღერო რასაც დედა იმღერის ხოლმე,როცა მე მაძინებს.

—ის რას იმღერის შჳლო?

—აი ის როგორ იმღერის: ზჳრთო, ზჳრთო ნუ დმუვი, ნუ სცემ, ნუ აღვიძებო, ზჳრთიც გაუგონებს ხოლმე დედასა და მე დამეძინება ხოლმე. შენ გველზე მღერობ, მგონია, განა?

—ჰო გველზე.

—გველი მიწაში სცხოვრებს, განა?

—მიწაში სცხოვრებს.

—ქჳას ქვეშაც თუ არა?

—მოხდება, რომ ქჳას ქვეშაც.

—ქჳა მაგარია განა, ქჳას ვერავინ გასტეხს მგონია? გულში რომ გაცმა ქჳა შემოიგრას რა მოხდება?

—ეტკინება შჳლო.

—ვის ეტკინება, გულს თუ ქჳასა?

—გულსა.

—მაშ ნუ შემოიგრამ შენ გულში ქჳასა, თორემ გეტკინება და მე მაშინ ვიტირებ. ეგ ცული რაღათ გინდა?

—ეს იმისთჳს, შჳლო, რომ ხე მოვსჭრა და გავთალო.

—ხეს არ ეტკინება არაფერი, როცა იმას სჭრიან?

არა, არა ეტკინება რა.

როცა გავიზრდები ხომ მეც მამცემ ცულსა, რომ ხეები მოვსჭრა; თოფიკი არ მინდა, თოფს სისხლი აცხია.

ამ ბავშურმა ტიტინმა ცოტა გადაჰყარა დარდები იანკოსა. მერე იმან აირჩია ერთი დიდი ხე და დაუწყო ჭრა. ოხ, მეც რომ ცული მქონდეს რა მალე წამოვაქცევდით ჩვენ ორნივ მაგ ხესა, უთხრა კიდევ შჳლმა თავის მამასა.

მამა მაშინ მოჰყვა ხარხარსა.

რა გგონია, ვერ წამოვაქცევდით? მე გეუბნები წამოვაქცევდით?

იმ დროს ხე წამოიქცა უმისოთაც, და როდესაც დაეცა მიწასა, იმის ფოლოროდამ გამოხტნენ თრითინის ბარტყები; არიქა დაიჭი, უყროდა პატარა ბავშჳ და თითონაც გამოუკიდა იმათ დასაჭერათ. მაგრამ თრითინები სასწრაფოთ აცჳვდნენ მეორეს ხეზედ. აბა აღი, და იქ დაიჭირე ისინი თუ შეგიძლიან, უთხრა იმას მამამ, ხომ

ხედავ მე საქმე მაქუს.

მე ვერ ავალ იმ ხეზედ, ძრიელ მაღალია, საცაა აქ ჩამოვლენ მაშინ დავიჭერ უთხრა, ბავშმა.

როდესაც მამა სთლიდა ხესა, შვილი იმისივი აგროვებ-და ტოტებსა და ჰყრიდა შორსა, უცეფ ამოვარდა ძლიე-რი ქარი და გავარდა გრიალი ტყეშიაც და ზღვაზედაც, უთუოთ დიდი ჭექა ატყდება, სთქუა იანკომ, უნდა გავე-შუროთ.

დავიცადოთ პატარა კიდევ, უთხრა შვილმა, იქნება თრი-თინებს შეეშინდეთ და ჩამოვიდნენ მიწაზედ, მაშინ გაჩ-ვენებ შენ იმათ სეირსა.

არა, შვილო უთხრა მამამ, ისინი ისე განაბენ იქ სუ-ლსა, რომ კაცმა ვერ გაიგოს სად არის იმათი ბინა.

შავი ღრუბლები უფრო და უფრო გროვდებოდნენ ცაზედ, მოუმატა ქუხილმა და ელვამ. იანკომ გაირჭო წელში ცული, მოჰკიდა ხელი შვილსა და გაუდგა საჩქა-როთ გზასა. ბოლოს ისე დაბნელდა, რომ საჭიროთ შეი-ქმნა ხელით ეძებნა გზა. ქუხილიდამ და ჭექა უფრო და უფრო ძლიერდებოდა; ძლიერი ქარიც ანუ ამტვრევდა ხეებსა და ან ფესოთი გლეჯდა.

ბოლოს მიაწიეს თავის ქოხში; ცოლი იანკოსი მიყუ-ჟული იყო კუთხეში და მოუთმენლათ ელოდა ქმარსა და შვილსა. როდესაც გაიგონა იმათი ფეხის ხმა, შესძახა: შინ შემოდით დროზედ; ხო ხედამთ რა ანბავია გარეთ.

არა მარი, უთხრა იანკომ, მე უნდა წავიდე წყლის პი-რსა და დავხედო ნავსა. საშინელი ქარია! იმას გარდა იქ ხშირათ არიან ხოლმე მეთევზეები, ვინ იცის რა შეემთხ-

თხვიათ იმ საწყლებსა.

—მაშ ჩუ̂ჱნც წამოვალთ, უთხრა ცოლმა, მე მეზარება როგორღაც მარტო ყოფნა. რაღაც ზარსა მცემს ეს ელვა და ჭექა, გულზედ ქუ̂ასავით რაღაც მაწევს.

—კარგი, წავიდეთ, უთხრა იანკომ, მე მაგრათ დავაბამ წყლის პირზედ ნავსა და მაშინვე გამოვბრუნდეთ.

წავიდნენ ორნი ცოლ ქმარი, და ბავშვიც თან წაიყვანეს. იანკომ მიითრია ნავი, დაამაგრა წყლის პირზედ და უნდოდა დაბრუნებულ იყო შინა, მაგრამ უცებ მოესმათ შორიდამ ისეთი კაცის ვედრების ხმა, რომ ცოლქმარი ათრთოლდნენ შიშით და ყმაწჳლი მოეჭყუ̂ა ტირილსა.

—ვიღაც იხრჩობა აქა, სთქუ̂ჱს ერთხმათ ცოლქმარმა. ვინ უნდა იყოს ეს საცოდავი? და ან რა რიგათ უნდა ჩუ̂ჱნ იმას უშველოთ?

თან და თან უფრო და უფრო ბნელდებოდა, იმათ მიუგდეს ყური; ზღუ̂ას გაჰქონდა ღმუილი და ზვირთები, როგორც შავი რაღაც რამ აღიოდნენ მაღალს მთებსავით და სკდებოდნენ იმათწინ სიბნელის უფსკრულში. ბოლოს მოესმათ კიდევ კაცის ხმა, მაგრამ ისეთი სუსტი, რომ მხოლოდ მახვილს სასმენელს შეეძლო გარჩევა იმ ხმისა. აი კიდევ ხმა, სთქუ̂ჱს ორთავ, ღმერთმა ინებოს, რომ აქეთ, ჩუ̂ჱნკენ მაინც გამოიყოს. ვიღაც არის.

და დაუწყეს კიდევ ყურადღებით ყურება ზღუ̂ასა. იმისი ზვირთები რიყავდნენ სხუ̂ა და სხუ̂ა ნავების ნამტვრევებსა; ეტყობოდა რომ იქ სადმე მახლობლათ დალეწვილიყო ხომალდი, მაგრამ კაცივი არავინ არსადა სჩა-

ნდა. იმ დროს კიდევ გამოჩნდა რაღაც თეთრათ. ყველამ სული გაკმიდა; ბოლოს იანკომ მოიბა საბელი, ერთი წვერი მისცა ცოლსა და თითონ შესტოპა წყალში. იმ დროს წყალმა გარიყა მაჩტის ნაგლეჯი და პარუსი. სჩანს, რომ კაცი, ვიღაც იყო იმ ხომალდზედ, უთუოთ დაი-დუპა, სთქჳა ოხჳრით იანკომ. ვილოცოთ იმისის სულის-სათჳს, სხჳა არა შეგვიძლიან რა. ძლივს დაასრულა ეს სიტყჳები და შეაქცია პირი წყლის პირსა და უნდოდა გასვლა ნაპირზედ, იმ დროს უცებ რაღაცამ ზურგში წა-მოკრა, იანკომ შეხედა და დაინახა ფიცარი, რომელსაც მაგრად ჩაჭკროდა გაშეშებულის ხელებით მკჳდარი კაცი. იანკომ სტაცა იმას მაგრათ კელი და გაიტანა წყლის პირზე, ასწიეს და საჩქაროთ მიიტანეს ქოხში, ასხეს თბი-ლი წყალი, დაუწყეს ქნევა, უსვეს ტანზედ ტილო და ამ სახით იმას დაუბრუნეს სიცოცხლე.

მხოლოდ მაშინ შენიშნეს იმათ, რომ უცნობი კაცი იყო დაჭრილი ორ ალაგს და მოიხმარეს სხჳა და სხჳა ზომა, რომ მოეჭრათ სისხლის დენა. ამ ზრუნ-ვასა და მეცადინეობაში, განვლო მთელმა ღამემ და დი-ლით მიეძინათ როგორც ავათმყოფს, ისე სახლის პატ-რონებსა.

ეს უმაგალითო იანკოს სტუმარი იყო ვენეციის მდი-დარი. იმის ხომალდს დასცემოდნენ უსკოკები· რადგან ვენეციანელთ იცოდნენ, რომ უსკოკები იმათ არ დაზო-გავდნენ, გამოიდეს თავსა,, როგორცკი შეეძლოთ, მაგ-რამ უსკოკები მოჰყვნენ ავაზაკურის ბუკების კვრასა და მაშინ ყოვლის მხრიდამ მორბოდნენ იმათ საშველათ.

გაცებს გამოჰქონდათ დამალული წვნელ ქვეშ ნავები და მხრებით მიჰქონდათ. ზღვის ქალები დარბოდნენ და ეჭირათ ხელში ცულები, კავები და აძლევდნენ იმათ თავიანთ ქმრებსა, სდგავდენ თითო მაჩტებსა და სჭიმავდენ პარუსებსა.

იმ ოფიცერს ეგონა როგორმე თავს უშველიდა და გაექცეოდა იმათ თავის ხომალდზედ, მაგრამ უსკოკები შემოერტყუნენ იმას იმრგვლივ და მოუსპეს ყოველივე იმედი გაქცევაზედ. მაშინ იმან ჩაუშვა იაკორი და დაუწყო იმათ ჩხუბი. ომი შეიქნა სასტიკი და აღარ იყო კაცი იმის ხომალდზე, მძიმეთ დაუჭრელი, მაგრამ მაინც არ უნდოდათ უსკოკებს ცოცხლათ ჩავარდნოდნენ ხელში. ზოგი მუხლზედ მდგარი და ზოგი რომელსაც შეეძლო წელის დამკრა სჭრიდნენ ავაზაკთ ხელებსა, რომლითაც ისინი ჩაბღუოდენ იმათ ხომალდსა. ბოლოს იმდენი ჰქნეს უსკოკებმა, რომ მოუკიდეს ცეცხლი იმათ ხომალდსა და შესცვივდნენ თითონაც იმათ პალუბაზედ. ზოგნი ვენეციელნი იქვე დაიხოცნენ და ზოგნი გადაცვივდნენ წყალში და იმათ რიცხვში ის აფიცარიც, რომელიც მაგრათ ხელ მოხვეული დიდმა ქარმა გაავდო იმ კუნძულზედ, სადაც სცხოვრებდა იანკოს სახლობა.

მეორეს დილას, როდესაც მარის მოესმა ავათ მყოფის კვნესის ხმა, დაეყუდა იმასა და ჰკითხა წყნარათ, თუ რა უნდა იმასა? ავათ მყოფმა თვალ დახუჭულმა ძლივს წამოსთქჳა წყალიო. მარიამ საჩქაროთ მიუტანა წყალი, იმან დალია თუ არა წყალი, იმავ წამსვე მიიძინა, მაგრამ რამდენსამე ხანს უკან მოჰყჳა შფოთვასა და ბოდვასა. სა-

ცოდვაი! სთქვეს გვნესით ცოლქმარმა, ვინ იცის, იქნება ამასა ჰყავდეს დედმამა, ან ცოლშვილი; ვინ იცის ეხლა როგორ დარბოდნენ და სტიროდნენ ამისთჳს, იქნება მდიდარიც იყვნენ. ეტყობა კიდეც, რომ მდიდარი კაცის შჳლი უნდა იყოს, ამისთჳს, ყელზედ ჰკიდია ოქროს ჯჳარი, ხელზედ აცჳა ოქროს ბეჭედი, რაღაც ელვარის თვალით. რა სიხარულში შევლენ ამისი მახლობელნი ეს რომ ისევ ცოცხალი მიუვიდესთ, და რა ბედნიერნი ვიქნებოდით ჩჳენცა, რომ ჩჳენ შევიქმნეთ მიზეზი ამისის შორჩენისა და სიკჳდილისაგან გადარჩენისა. ჯერ ისევ ამის ფიქრში იყვნენ ცოლ ქმარნი, და უცებ გაიგონეს იმათ თოფის ხმა. ორივ ააკანკალა და გავარდნენ გარეთ, შეეტყოთ თუ რა ამბავია. დაინახეს, რომ იმათ გაურბინა გვერდზე ორმა უსკოკმა, იმ დროს ვენეციელების ხომალდიდამ გამოვარდა ორი თოფი. უსკოკები გაენაბნენ მიწაზედ, დაეჭირათ რა კბილებში, ამოღებული ხანჯლები, და მიძვრებოდნენ ჩუმათ ბუჩქებში. ღმერთო რას ვხედავ, დაიძახა მარიმ, ესენი უთუოთ მოჰკვლენ ჩჳენ ავათ მყოფს! წავიდეთ მივმალოთ სადმე ის საცოდავი.

შეიჭრა საჩქაროთ იანკო ოთახში, აიღო ნელა ავათმყოფი, შეიტანა გადახურულში, და მსუბუქად მიაყარა თივა. მარიმ დამალა იმისი ტანისამოსი. შემდგომ რაოდენისამე წამისა ნიადაგ მყუდროს და განმარტოებულს კუნძულზედ შეიქნა რაღაც ალიაქოთი. ხოლო ქმარი ხშირათ შედიოდა გადახურვილში დასახედავათ; რომ კარგათ არის დამალული ავათმყოფი. უცებ იმათ სახლს შემოერტყნენ ვენეციელი სალდათები. იქ მცხოვრებს ყველას იამა, რო-

დესაც დაინახეს,რომ ისინი ვენეციელნი იყვნენ და არა უსკოკე-ნი, გავიდნენ ყველანი იმათ მისაგებებლათ, ეგონათ რომ მიიღებდნენ მადლობასა იმათის მემამულის ავიცრის უყუ-რისგდებისათჳს, მაგრამ სამი სალდათი შევარდა იანკოს სახლში, მიუშჳრეს გულში თოფის ლულები და ერთხმათ შესძახეს: შენ უთოვოთ უსკოკი ხარ?

—არა, მიუგო იანკომ, ღმერთმა დამიხსნას მეცა და ჩემი შჳლებიც უსკოკებისაგან.

—მაშ არც ბანა მიგიცია უსკოკებისათჳნა?

—არა, მე არა ვარ იმათი მეგობარი, ამიტომ, რომ მე თითონ არავარ ავაზაკი.

—მაშ ნავი რათა გაქვს?

—ნავი მაქვს მე თევზის საჭერათა.

—სტყუის ეგა, დაიძახა ერთმა იმათგანმა, ეგ თევზსვი არ იჭერს, ეგ იჭერს ჩვენ ნავებსა და ჩვენის ჯიბებიდამ ოქროებსა, აი როგორი თევზის მონადირეა ეგ უმაწჳლი. გსტაცოთ ხელი და შევკრათ ეგ მაგრათ. სთქვეს ეს და მართლათ გათოვეს იანკო, მერე მიიხედეს კედლისაკენ და სთქვეს: შეხედეთ რამოდენა თოფი ჰკიდია მაგას კედელზედა, აი სისხლიც აჩნევია ამ თოფსა. აი კიდევ მიწაშიაც ამოჩამს ჩვენი ავიცრის ნივთებიცა. ხედავთ წყეულ უსკოკსა, ავაზაკსა, ჭყჳროდნენ რაც შეეძლოთ რე-გვენი სალდათები.

შჳლი იანკოსი განკალებდა, ეკჳროდა და სტიროდა! იან-კოს უნდოდა, ცდილობდა ყოველივე აეხსნა იმათთჳს. მარი ევედრებოდა. მაგრამ საშინელს ღრიალსა, ლანძღ-ჳსა და მუქარაში არავინ არას უსმენდა იმათ. იმ დროს

შემოვარდა კიდევ ერთი სალდათიც და უთხრა: ძმანო მო-
დით აქ რა გაჩუ̂ენოსთ! აქ ერთი ჩუ̂ენი დაჭრილი გდე-
ბა. მაშინ გაცვივდნენ ისინი სარაიაში და წაითრიეს თან
იანკოცა. ავათმყოფმა იმათ ღრიალზედ გაახილა თუალი,
აიღო მაღლა თავი, გადახედა ამღვრეულის თუალებით
ყველასა, ბოლოს ჩააცქერდა იანკოსა და შეშინებულის
ხმით დაიყვირა: უსკოკი! უსკოკი! და ჩავარდა ისევ ბურა-
ნში. მაშინ სალდათების მრისხანების სიცოფე გადავიდა
საზღვარს იქით; სვე იანკოსი იმ წამიდამ შეიქმნა თი-
თქმის გადაწყვეტილი. აღარც ერთი სიტყუ̂ა აღარ ათქ-
მევინეს აღარც იმას და აღარც იმის ცოლსა.

სეგნაში უნდა უკრათ მაგას თავა, სეგნაში! იქ ნახამს
ეგ თავის სეირსა? ჰყჳროდნენ ხმა მაღლათ სალდათნი.

ღმერთო! ჰსთქუ̂ა გუ̂ნესით, მარიმ, რას მოვესწარ ამა-
სა; ნუ თუ კეთილი ვერავის უნდა უყოს კაცმა.

ძმანო! შესძახა იანკომ სალდათებსა; უმჯობესია აქვე
მომკლათ მე. სადღა მიგყავართ! მე აქ ქრისტიანი მინ-
დოდა გამომეხსნა სიკუ̂დილისაგან, ჩემთჳს უფრო ადჳ-
ლი ასატანია სიკუ̂დილი იქ, სადაც მინდოდა მექმნა კე-
თილი კაცისათჳს,

არა, არ შეიძლება, სეგნაში უნდა წაგიყვანოთ, იქ ბე-
ვრს შენისთანა ამხანაგებში, შეჰყჳრეს რეგვენმა სალდა-
თებმა.

ბოლოს ჩაისვეს იანკო ხომალდში და გააპეს ზჳრ-
თები ზღვისა. როდესაც იანკო აღარა სჩანდა ზღუ̂აში,
მარი დაეცა ძირსა უგონოთ; შჳლი იმისა ადგა თავზე,
და დასტიროდა. ანძრევდა რაც შეეძლო, ეგონა, რომ

იმის დედას ემინა, ბოლოს მოეგო მარი გონებასა, და გაიხედა კიდევ ზღვისკენ; ზღვა იყო დაწყნარებული; ცა მოწმენდილი, მზის შუქები მშვენივრათ აიბობდა ქუჩ-ყანასა, გაქვავებულის გულით, მოკლული მწუხარებით, ტორტმანით წავიდა შინისკენ; თუმცა სული უგუბდა, თვალები ეწოდა და მომატებულის მწუხარებისაგან ცრემლი უშრებოდა როდესაც შევიდა ქოხში, აენთო უცებ ის შურის ძიებით გრძნობით ვენეციელზედ, იფიქრა შესულიყო და დაეხრჩო თავის ავათმყოფი, რომელსაც იმ დრომდის ის უვლიდა ისეთის დაებრივის მზრუნველობით. მაგრამ მაშინ შეხედა იმას იმისმა პატარა შვილმა და ზეციურის ალერსით ჰკითხა: რათ მიხვალ დედა სტუმართან. გინდა წყალი ასვა, განა? საწყალი, უთოვოთ სწყურიან. მარი შესდგა; იმისის გულიდამ ისმოდა მძიმე ოხვრა და კვნესა; მერე დაიწყო პირჯვარი და ცდილობდა გაექრო გულში შურისძიების ფიქრი კაცზედ, რომელიც უნებურათ შეიქმნა მიზეზი იმისის უსაზღვრო უბედურებისა.

რა გაეწყობა, სთქვა ბოლოს მარიმ მწუხარებით, თუმცა ჩვენ ჩვენის ქვეყნის საქმისთვის მოვიზიდეთ თავზედ ეს საშინელი უბედურება, მაგრამ ვეცდები მოუარომე სატოდაკს ავათმყოფსა, როგორც ძმასა, ეგება იანკოს სულმა ეს იგრძნოს ზღვას იქით მცირეთ მაინც და გაუადვილდეს. ოხ, როგორ უნდა გაიმეტოს ბედმა იმისთანა კეთილი, შემბრალე კაცი, როგორც ჩემი იანკო, რომელმაც დაიხსნა, მისცა ბინა როგორც ძმასა, უბედურს კაცსა. ოხ, შენ მაინც გადამირჩებოდე ჩემო პატარა ნუგეშო, უთხრა შვილსა, ნუ თუ შენც, როგორც შენს უბედურს

მამას, შენის გულ კეთილობისათჳს მიგელის იმისთანა უწყალო სვე, და დაუწყო ბოლოს ცრემლით კოცნა შჳლსა, ამ ალერსით მარის ჩაესახა გულში რაღაც გამოუთქმელი ნუგეში. შებრალება ავათმყოფისა ამ წამიდგან შეიქმნა იმისთჳს თითქმის საზრდოთ და შეუდგა ხელახლად თჳთ ნარნარს მზრუნველობას თავის ავათმყოფის სტუმრისას, თითქო ის იყოვო იმისი უკანასკნელი სიოცოცხლის ნუგეში.

განვლო რამოდენიმე დღემ. მარი ეწინდებულათ დარდობდა, ყმაწჳლმაც დაჰკარგა მხიარულება და ხდებოდა თან და თან. ავათმყოფი ვენეციელიკი შეიქმნებოდა უფოველ დღე უკეთ და უკეთ. როდესაც მარიმ დახედა, რომ იმას შეეძლო მოესმინა იმისი სამწუხარო ამბავი და უბედური სვე, მოუყჳა წვრილათ, თუ რა აიტანა იმ დღეებში. როდესაც დაუსრულა თავისი ამბავი, ვენეციელმა გინელამ ისევ დაჰკარგა გრძნობა და ნიჭი ლაპარაკისა. ღმერთო! ეს რა უბედურებაა, სთქჳა იმან, ჩემის გულისათჳს ეს ამბავი! უმჯობესი იყო ჩემთჳს, რომ ზღჳაში დამხრჩვალი ვიყავი; ჩემთჳს უბრალოთ დათხეული სისხლი მომწამლველ წვეთათ დაეცემა, დაუწყებს საფლავში ღრღნასა ჩემს შჳლებსა და დამიწვამს სულს საუკუნოთ. ღჳთის გულისათჳს წამიყვანეთ როგორმე მეც სეგნაში! მე ძრიელ მდიდარი ვარ; მე მზა ვარ მივსცე, სრულიათ ჩემი სიმდიდრე, ჩემი სასახლეები იმის გამოსახსნელათ. უმჯობესია მე შევიქმნე გლახაკათ, ვინემ უბრალოთ დასაჯონ შენი ქმარი! და მოჰყჳა კვნესას და ტირილსა. ეტყობოდა, რომ იმის ტანჯჳას არა ჰქონდა საზღვარი,

მარიკი გავარდა კარზედ, და მთრთოლვარე მთელის
ტანით, იდგა ზღვის პირზედ და ამღვრეულის თვალებით
იყურებოდა ზღვაში და ფიქრობდა, ეგება გამოსჩნდეს ანუ
ხომალდი ანუ ნავი. როდესაც დაინახავდა იმ გვარს რას-
მე, შორიდამ უჴროდა, სტიროდა; მოაბა ჯოხზედ გრძე-
ლი ტილო და უქნევდა იმათ, და უნიშნებდა, რომ იმის-
კენ ექნათ იმათ პირი, მაგრამ არც ერთი იმათგანი არ
გავიდა იმ კუნძულზედ, სადაც მარი იდგა. მარის უხურდა
თავი,უკვნესდა გული, წარმოუდგებოდა ფიქრში შემდგომი
კარტინა, ხედავდა უსკოკებსა, ვენეციის სალდათებს, მე-
პეგზებსა სისხლით შესვრილებსა, და იმათში, უკან ხელ
გაკრულს. თავ დაღუნულს, ფერმიხდილს იანკოს. ბოლოს
ყველა გრძნობამ გაჰყინა მარიამის სულში, და იდგა ის
უგრძნობლათ, როგორც სტატუი. მჴლი იმისი დაღალუ-
ლი ფეხზე დგომით, დაეცა ძირსა და დეეძინა დედის ფეხ-
ქვეშ. იმ დროს, ძრიელ შორს, გამოჩნდა რაღაც თეთრათ.
ღმერთო! დაიძახა მარიმ, ეს სწორეთ ხომალდია. ის იყო
სწორეთ ხომალდი და მისცურავდა მფრინველის სიჩქარით
და როდესაც შენიშნა წყლის პირს კაცის სახე, მიაშურა
მარისკენ. მარი უცებ გაცოცხლდა, და სითბოს ჟრუან-
ტელმა დაუარა ძარღვებში, რაღაც ნაირმა იმედმა გაუელ-
ვა დამწვარს გულში, დაეცა მუხლებზედ და მოჰყჳა ლო-
ცჳასა ისეთს მხურვალეს, რომ ქჳა უნდა აღუღებულიყო,
თუ რომ ჰქონოდა გრძნობა. გრძნობა სიხარულისა და
მწუხარებისა, ნუგეშინისა და უნუგეშობისა ავრია ერთ-
მანერთში, და შესძრა, გადმოაბრუნა სული მარისა. აღ-
მოსჩნდა რომ ხომალდში ისხდნენ ავათმყოფის ნათესავნი.

მოსალოდნებელი იყო, რომ ვენეციანელს ძრიელ გაეხარებოდა თავისის ნათესავების ნახვა, მაგრამ იმან ნაცვლად ალჟირსისა, დაინახა თუ არა ისინი, მაშინვე შესძახა: ეხლავ წამიყვანეთ სეგნაში, თჳოეული წამი მკრია; თუ რომ ეხლაც ვეღარა უშველეთრა უბრალოს კაცსა, იცოდეთ მე სიცოცხლე აღარ მინდა. მაშინ ისინი მისცჳვდნენ და გადაიტანეს იმავ წამს ხომალდში როგორც ავათ მყოფი ისე მარი და იმისი შჳლი, გასწიმეს პარუსები და რამდენისამე მინუტის შემდგომ მიფრინავდნენ ზღჳაზედ, როგორც ორბები.

სეგნაში სწორეთ იმ დროს ორის ვენეციანელის კომმისიარის ანუ მსაჯულის თანა დასწრებით სჯიდნენ სიკჳდილით უსკოკებსა. იმათ დასასჯელათ საჭირო არ იყო არც გამოძიება და არცარამ საკუთარი მსჯელობა. ერთი მხოლოდ წოდება უსკოკისა საკმაო იყო იმათ სასიკჳდილო განჩინებათ. ავაზაკნი გადიოდნენ სასიკჳდილოთ გაქვავებულის სასოწარკვეთილებით. ზოგნი იმათგანი ლანძღავდნენ იმ დროს ხან ვენეციელებს, ხან ავსტრიელებს და ხან თათრებს, და ზოგნი მიდიოდნენ მოღმეჭილის სახით, ხმა ამოუღებლათ. ბოლოს მიაწია რიგმა იანკომდინაც. დასუსტებული და სევდისაგან მოკლული, საწყალი იანკო ძლივსღა ადგამდა ფეხსა. მაგრამ როდესაც დაადგა ფეხი სასიკჳდილე ალაგზე, იმაში უცებ აღენთო ვაჟკაცობა და მაღლის მრთოლვარის ხმით დაიძახა: « ძმანო! მერწმუნეთ მე, ანუ ყოველსავე მცოდნეს ღმერთსა, რომ მე არავარ უსკოკი! ჩემი დანაშაულობა მხოლოდ იმაშია, რომ მოვარჩინე სიკჳდილსა და უჳლიდი როგორც

ძმასა თქვენი მემამულე ქრისტიანსა, ვენეციანელსა. თუ მაინც არას დამიჯერებთ, მომეცით მაინც მცირედი დრო, რომ ვილოცო ჭეშმარიტი ღმერთი, რომ იმან მოგიტეოსთ თქჳნ, თქჳნი შეცდომა და უმანკოთ დანთხეული ჩემი სისხლი. ოხ, ჩემო მკრთვასო ცოლშვილო, ვაი თქჳნი ბრალი!!! ნეტავი თუ რა მოგელისთ ჩემ შემდეგომ....» და მოჰყჳა აქ იანკო ცხარის ცრემლით მხურვალეს ლოცჳსა, ლოცჳს, რომელმაც შესძრა და აადუღა ყოველი იქ მდგომი.

უცებ ხალხში შეიქმნა დიდი დრტვინვა. «ეს მართლად უსკოკი არ უნდა იყოს, იძახდნენ მრავალნი. უსკოკები არაოდეს არა ლოცულობენ სიკჳდილის წინ, არც ცოლშვილი უხსენებიათ როდისმე. უნდა მაგას მიეტეოს, უნდა განთავისუფლდეს! რიგის ხელიდამ გამოვგლიჯოთ იანკო პალაჩებსა! და მიიწია ხალხმა ნემეცის ჯარებისაკენ, რომელნიც სამწყებათ, ჯგუფათ იდგა მეიდანზედ და გაარღჳა აქ იქ ჯარები.

ამ გარემოებამ ვენეციის კომისრები ძრიელ დააფიქრა, ისინი საჩქაროთ წავიდნენ რჩევის საკითხავათ სეგონის გუბერნატორთან და ალიაქოთის ადგილი დაიპყრა საზოგადო ვედრებამ. ყველა ერთ ხმათ ითხოვდა იანკოს პატიობას. იმ დროს უცებ გავარდა ხმა: აი გუნძულიდამ ხომალდი! მოიყვანეს დჟუზეპპე! არ იქნა, მსაჯულნო, მიაშურეთ ხომალდსა, ავათმყოფი გადადებულია! ძრიელ უნდა იანკოს ნახვა!

კომისრებმა სასწრაფოთ წაიყვანეს იანკო ხომალდზედ. გაჰყჳა იმათ თან მღჳდელი და სხჳა ურიცხჳ ხალხი. დჟუ-

ზეპპე გამოიტანეს პალუბზედ. იმის მახლობლათ იდგა იანკოს ცოლშვილი, მთრთოლვარენი და ფერმიხდილნი. მარის უძგერდა საზარლათ გულსა, იანკო აიყვანეს ხომალდზედ. როგორც დაინახა ცოლმა, მარის შემოეყარა გულსა და უგონო დასცქდა პალუბზედ. ბავშვი მოჰყჳა ყვირილსა: იანკო! იანკო! ჩემი მამა, გამიშვით ეხლავ მამასთან! მარი და ის შეიტანეს გემის სენაკში (კაიუტაში). დასდგა საშინელი წამის ყოფა; ყოველმა სულდგმულმა გაგმინდა სული. გარეშემო შეიქმნა ისეთი მდუმარება და მყუდროება, რომ კაცი გაიგონებდა ბუზის ფრთების ხმასა. რამდენიმე ათასი კაცი იდგა უსიტყოთ, უხმოთ, როგორც სამარიდამ ამოლებულნი. იანკო მიუახლოვდა დჟუზეპპეს, მაგრამ ის იდგა იმ დროს თვალ დახუჭული მღჳდელი, რომელსაც ხელში ეჭირა სახარება და ჯჳარი, დაეყუდა იმასა და ჰკითხა: შვილო, ქრისტიანო! ერთი გაახილე თვალი და სთქვ მხოლოთ ერთი სიტყჳსა: ამ კაცმა გადაგარჩინა მართლათ შენა? დჟუზეპპემ გაახილა თვალი, მაგრამ უგონოთ ატრიალებდა თვალებსა და ვერ შესძლო ვერც ერთის სიტყჳს თქმა. დჟუზეპპე! ჩასძახა კიდევ მღჳდელმა მაღალის ხმით: შენ წინა სდგას იანკო! ეს არის შენი მშველელი? თუ რომ ღმერთმა მოგავლო შენ ნიჭი ლაპარაკისა, მაშ, მოძრაობით მაინც, ანუ კოცნით, ან მეხელვით გვანიშნე, რომ ეს არის სწორეთ შენი მშველელი... ეს არის დაისაჯა იანკო ვითარცა ავაზაკი! რამდენისამე წუთის შემდგომ დჟუზეპპე მოეგოგონებასა, გაახილა თვალი, და გამოუთქმელის სიყჳარულით გადახედა იანკოსა და ხელით ძლივს რაღაც ანიშნა;

იანკო დაეყუდა და დყუმზევზე დაეწაფა იმას ტუჩებზედ. მაშინ მღვდელი წარმოსდგა და ხმა მაღლა აკურთხა ჯერ მომაკვდავი და მერე იანკო. ხალხში შეიქმნა გამოუთქმელი სიხარული. გამოიყვანეს მარი და იმისი შვილი, ცოლი მივარდა და მიიკრა იანკო გულში, შვილი დაეკიდა კისერზედ. ბოლოს ისინი გაიყვანეს დღესასწაულობით. თჳთეული მოქალაქე ბედნიერებათ სთვლიდა ჰყოლოდა ისინი სტუმრათ, მაგრამ იმათი ყველასთან საყვედრებელი იყო ისა, რომ ისინი დროზედ დაებრუნებინათ თავიანთ კუნძულზედ, სადაც ისინი იყვნენ დიდ ხანს ბედნიერნი, და სადაც სხვისმა ბოროტ მოქმედებამ გასაკვირველის შემთხვევით კინაღამ ჩაჰყარა ისინი გამოუთქმელს უბედურებაში.

შეიქმნა ამის შემდგომ ხანგრძლივი მსჯელობა სენის მთავრობისა და, ვენეციის კომმისარებს შუა და ბოლოს ამ უკანასკნელთა შეჰკრიბეს მრავალი ხალხი და იმათ შორის რამდენიმე უსკოკიცა და გამოუცხადეს იმათ, რომ შემდგომი გადაწყვეტილება, «სასიკუდილინე სასჯელი არის დიდი უბედურება ქრისტიანეზედ; მართალია ჩვენი სჯული გვიბრძანებს მოკვლევასა, ვითარცა მხეცისას იმ გვარ კაცთა, რომელნიც თითონ ეკიდებოდნენ სხვას ვითარცა მხეცნი; მაგრამ თჳთ მსაჯულიც ემსგავსება სასტიკსა მხეცსა, თუ რომ დაივიწყებს კაცი, რომელსაც იმან გადუწყვიტა სიკუდილი, არის იმის ძმა. ხოლო დასჯა უბრალო კაცისა ნიშნავს შთაკარდნას ზეციურს სამსჯავროს ქუეშ. დღეს ჩვენ ძრიელ ახლო ვიყავით ამ გვარს საშინელს საქმეზედ. უსკოკნო! იქნება თქვენშიაც ერი-

ონ რამდენიმე, რომელნიც მართლათ ისე დანაშაულნი არ იყვნენ, როგორც კაცობრივს მართლმსაჯულების ეს ჩვეულება. ხოლო ისინი, ვინც მართლათ დამნაშავე არიან თქუჱნში, მიგვინდვია ღჳთის მსაჯულისათჳს. ადამისაგან და შთამოებისა ღჳთაებრივის მაცხოვრის და სისხლისაებრ ძმანო მოგვიტევებია თქჳჱნთჳს დანაშაულობა და გლოცავთ მყუდრო საცხოვრებლათ და პატიოსან შრომაზედ. ვითარცა ძენი ერთის სახლობისა, ვილოცოთ, რომ ღმერთმან მოუვლინოს დამნაშავეთა ძალა და მხნეობა, რომ ამიერიდგან თავისის პატიოსნურის ცხოვრებით გაირეცხონ იმათ ის ჩირქიანი სისხლი, რომლითაც ესენი აქამომდე იყვნენ შესვრილნი.» უსკოპები დაეცნენ მიწაზედ. ხალხი ტირილით ქვითქვითობდა. ყოველს ეკკლესიაში შეიქნა დღესასწაულების ზარის რეკა. შუადღის მყუდრო ხმა ზარებისა შეერთდა ხმას მრავლის ხალხისას, რომელიც ერთხმად აღავლენდნენ ღაღადებასა ცისაკენ მიტევებასა და სიყჳარულზედ.

მეორეს დღეს სამი ადამიანი იდგა ხომალდის პალუბზედ და მისცურავდა ტრაუს კუნძულისაკენ. როდესაც იმათ დაინახეს კუნძული, თვალი იმათი ელავდა იმ აუწერელის სულითადის მღელვარებით, რომელიც ადუღდება ხოლმე ათას ნაირის სატკბო საგრძნობლისაგან სამშობლო სართულის დანახვისა. აი იმათ გაარჩიეს წყლის კიდე. ესმისთ ნაცნობი ტყის ხმა; ხომალდი გატრიალდა და მარჯჳჱნა გვერდით მიადგა კუნცხსა. იანკო, მარი და იმათი შჳლი გადახტნენ საჩქაროთ ხმელეთზედ, დაკარდნენ მიწაზედ და დაუწყეს იმათ კოცნა. ბავშვი დარბოდა

უკრავდა ტაშსა, და ჰკრეფდა რაც ხელში მოხვდებოდ ა დედ მამას, რომ დროზედ შესულიყვნენ ოთახში, რომელიც იმ დროს ელოდათ იმათ მოუთმენელათ და რომლისაც კარებიც და ფანჯრებიც იყვნენ სრულებით ღია, ეზოში დარბოდნენ ახლათ გამოჩეკილი სხჳს და სხჳს მფრინველი; ბანზედ იჯდა მამალი და ჰყიოდა; ერდოს ქვეშ ჭიკჭიკებდა მერცხალი.

განვლო ამის შემდგომ ერთმა წელიწადმა. ერთის დილაზედ იანკო იჯდა ურემზედ და მიდიოდა მინდორში პურის დასათესათ. თან უჯდა თავის პატარა შვილი, და მუხლზედ ედო თესლით სავსე პარკი. უცებ იმათ გადაუღობა გზა უცნობმა კაცმა.

—გამარჯობა იანკო! უთხრა იმან, და უცხო კაცის ხმაში ისმოდა საკუთარი ძმური და მეგობრული მოკითხჳა, თითქმის ხმა უთრთოდა იმასა.

—გაგიმარჯოს, ძმაო! მიუგო იანკომ.

—მე შენთან სათხოვარი რამე მაქჳს იანკო, განაგრძო უცნობმა; ეს არის მე ეხლა გამოვედი ზღვიდამ თქჳენ კუნძულზედ და მინდა მეც აქ დავესახლო, და ამისთჳს გთხოვ რჩევა მომცე მე ამაზე.

ძალიან კარგი იქნება, უთხრა იანკომ. აქ სხჳენი ბევრი დასახლდნენ ამ მოკლეს დროში, ადგილი აქ ძრიელ მშჳენიერია, მიწა რამდენიც გინდა, ჰაერს ქება აღარ უნდა. დაესახლე შენცა ძმაო, ჩჳენ ყველანი აქა ისე ვცხოვრებთ, როგორც ძმანი. ჩჳენ ყველანი შევეწევით სახლის დადგმაზედაც და მუშაობაშიაც. ახლა მე არა მცალიან, აი მიდი აგერ ჩემს სახლში, იქ ჩემი ცოლი გაჭმევს მანამ

მე მოვიდოდე და მეც მალე დავბრუნდები და მაშინ ყვე-ლაფერი მოვილაპარაკოთ.

მაშინ უცნობი მივარდა, მოეხვა იმას, მიიკრა გულში, და ცრემლით სავსე თვალებით უთხრა: მგონია ვერ მიცან ჩემო იანკო, ჩემო კეთილის მოქმედო, ჩემო მხსნელო? მე დჟუზეპპე ვარ.

როგორ თუ დჟუზეპპე? ნუთუ შენ ის ვენეციანელი დაჭრილი აფიცარი ხარ? შენ ისევ ცოცხალი ხარ? ამას რას ვხედამ, რას მოვესწარ? აკი შენ მდებიარე იყავ, ენასაც ველარა ხმარობდი. ღმერთო, რასა ვხედავ ამას! მე შენ სრულებით ცოცხალი აღარ მეგონე. მადლობა ღმერ-თისა, რომ ცოცხალსა გხედავ!.. ღმერთია მოწამე, რომ ეს დიდი სასიხარულო დღეა ჩემთჳს!... ნეტავი იცოდე რა რიგათ იამება ეს ამბავი ჩემს ცოლსა და შჳლსა, რომე-ლნიც შენ ავათმყოფს გივლიდნენ ოდესმე, როგორც ძმა-სა. აბა უნდა გავბრუნდეთ უკან, ვილასა აქჳს დღეს თე-სვის თავი!... თესვას ყოველთჳს მოესწრობა და ამ გვარი ბედნიერი დღეკი კაცს ერთხელ შეხვდება სიცოცხლეში! ნეტავი იცოდე დჟუზეპპე, როცა მოვიგონებდით ხოლმე შენა მე და ჩემი ცოლი, დაჭრილსა და მომაკჳდავსა, რა-მდენს ვიტირებდით ხოლმე!..

შეიყვანა რა იანკომ თავის სახლში დჟუზეპპე კარები-დამვე შესძახა ცოლსა: აი ჩჳენი დჟუზეპპე. შენ უნდა ეხლავ ხელ ახლა გაახურო ფეჩი, და რაც იცოდე კარგი რამ გამოაცხო, შესწჳა და მე ეს არის მივდივარ რომ დავპატიჟო ჩემი მეზობლები, ლხინი უნდა გადავიხადოთ. ვინემ დაბრუნდებოდა იანკო და სტუმრებს მოიყვანდა,

რა სთქჳეს და რა იგრძნეს დჟუზენპემ და მარიმ, იმის აღწერას საჭიროთ აღარა გრაცს. იმას მიხჳდება ყველა მკითხველი.

გ. დიდებულიძე.

---

# ვილიამ შექსპირი.

(უძღვნი ჩემს დას).

## პირველი თავი.

წარსულს **1864** წელს, აპრილის **23**-ს მთელი განათლებული ქვეყანა შეერთდა ერთად, რომ ეუქმათ სამასი წლოვანი იუბილეი ვილიამ შექსპირისა.—მთელმა განათლებულმა ხალხებმა მისცეს ხარკი თავის დიდ პოეტს: უქმობის გარდა გამოვიდა ურიცხვი თხზულებაები იმაზე, იმის დიდებაზე და იმის საზოგადო კაცობრიულ გენიოსობაზე.—მეც მსურს ვსთქჳა რამოტელიმე სიტყჳა შექსპირზე;—ჩვენც უნდა გავიხსენოთ იმისი პოეზია, რომელიც ახლო არის ყველა კაცის გულზე და ჭკჳაზე, რადგან ის არის საზოგადო კაცობრიული, ჩუენთჳსაც მოვა ის დრო, როდესაც საშუალ განათლებულთ ხალხებისა გავრცელდება კითხვა და ჰსწავლა.—ეს სწავლა არის ძლიერ სასარგებლო იმისთჳს რომ იმისი პოეზია გვაცნობებს ჩვენ მთელი კაცობრიობის ცხოვრებას.—ყველა პოეტები ხატვენ საზოგადოების უწყებულ მდგომარეობას, იყვნენ გზის მაჩვენებელნი

და გამომთქმელნი იდეისა, ცხოვრებისა და სურვილისა, რომელნიც აკეთებდნენ მათ საზოგადოებას, მაგრამ ესენი იყვნენ პოეტები და თჳთქმის დიდებიც, როგორც ბაირონი, შილლერი და სხ.... შექსპირი კი არის გენიოსი.—აჲ რაშია იგავი იმის სიმაღლისა.—შექსპირის გენიოსობა არის ყველას გარე შემცველი, იმისთჳს არ არის უსაზღვრო თავის გამოთქმაში.—შექსპირის პოეზია არის უმაღლესი სურათი კაცობრიობისა, თავის გულის თქმითა და შინაგანი ფსიხიური ცხოვრებითა.—

ვილიამ შექსპირი დაიბადა ანგლიაში **1564** წ. **23**-ს აპრილს სტრატფორდში აკვონზედ; მოკჳდა **1616** წ. მე-**52** წელიწადში.—შექსპირის კერძოობითი ცხოვრებაზე ჩუენ ცოტა ვიცით.—ის დაიბადა სტრატფორდში, როგორც ვსთქვი, იყო შვილი მატყლის მყიდველისა, ვაჭრისა, სხვანი ამბობენ ის იყო ხარაზის შვილი.—მე-**14** წლისა ის გამოიყვანეს სხოლიდგან, რადგან მამას ეჭირვებოდა თანა შემწე ვაჭრობაში.—**19** წლისამ შეირთო ცოლი, რომელიც იყო ექვსის წლით იმაზე დიდი; მამა იმისი დაიქცა და უეცრათ დარჩნენ სიღარიბეში, ასე რომ ვილიამი იძულებული იყო დაეტოვებინა თავის სამშობლო ქალაქი.—**1589** წ. **25** წლის შექსპირი მოვიდა ლონდონში ბედნიერების საძებნელათ; მაგრამ გენიოსებსაც კი ბედნიერება არ ხვდებათ უცებ.—ის იყო იძულებული სიღარიბის გამო ედარაჯნა ცხენები თეატრის მისავალში; მერე ის შეიქმნა მისი იმპერატორეობითი დიდებულების კარალევა ელისაბედის მოკამელიეთ.—აჲ აქ არის თავი მისი დრამიური საქმიანობისა.—შექსპირი ჰსცხოვრებდა

და სწერდა თვით უბრწყინვალეს ანგლიისთჳს ეპოქაში, კარალევა ელისაბედის დროსა.—ელისაბედამდე სცენა, თეატრი, იმყოფებოდა საბრალო მდგომარეობაში, ამისთჳს რომ სარწმუნოებითი ფანატიზია სასულიეროებებისა ჰსთვლიდა იმათ ცოდვიანის მოყლათ, მაგრამ საზოგადოების მოთხოვნილებამ ჰსძლია სასულიეროებების უზდელობას და თვით კაროლის უფლებამ იწყო მფარველობა სცენიურ მოქმედებაზე.—რასაკჳრველია ჯერ თეატრი განხორციელდა კარალევას სასახლეში და მსახურებდა იმას თავის შესაქცევათ.—შემდგომ მართებლობამ ნება დართო კერძოობით თეატრის გაღების—პატრონათ ამ კერძოობითი თეატრისა იყო სხვათა შორის შექსპირიც.—ამ თეატრის გლობუსის სცენაზე გამოცხადდნენ ყველა შესანიშნავნი იმისი ტრაღედიები, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ იმ დროის შესანიშნავი აკტიორის რ ი ჩ ა რ დ ბ უ რ ბ ე ჯ ი ს ა გ ა ნ.—ზოგი მწერლები ამბობენ, რომ შექსპირი იყო კარგი აკტიორი; მაგრამ ვიცით რომ ის გამოჩნდებოდა მეორე ხარისხოვან როლებში; მაგალითი: «გ ა მ ლ ე ტ შ ი» იმან ითამაშა გამლეტის მამის აჩრდილი.—ალბათ ეს თეატრები იყვნენ შეძლებულათ და ჰქონდათ კარგი შემოსავლები, ამისთჳს რომ შექსპირი მერე წავიდა სამშობლოში, იყიდა ადგილი, სადაც დაიბადა და შეიქმნა მიწის მეპატრონე.—ამ თეატრების წარმატებას ეხმარებოდა კარალევა ელისაბედი, რომელიც ნიადაგ დადიოდა და მფარველობდა იმათ.—აჲ რისთჳს, იმის სამადლობლად, შექსპირი თავის ტრაღედიაში «ჰ ე ნ რ ი ხ მ ე რ ვ ე» გამოაყვანინებს კაროლის ქალს პატარა ელი-

საბედს სცენაზე და ათქმევინებს მის გარე-შემომხვეულებს: «ამ ყმაწვილში იმყოფება მთელი მომავალი ანგლიისა». აჲ კეთილშობილობა პოეტისა.—ამ მოწყობილებაში შექსპირს გენიოსობას შეეძლო გაშლა, დაბრკოლება იმას არა ჰქონდა და საშუალობა ჰქონდა საკმაო.—საშუალებად მე ვრაცხამ ნიჭიერ საშუალებაებს, როგორც მეზუარებს, წერილებს, ისტორიებს ტრაღედიისას, რომლებმაც განანათლეს სულიერად იმისი გენიოსობა.—შექსპირმა დასწერა **30**—ზე მეტი ტრაღედიები, განსაკუთრებით ანგლიის ისტორიიდამ: კ ო რ ო ლ ი ი ვ ა ნ ე, რ ი ჩ ა რ დ ი. მეორე, ჰენრიხ მეოთხე, ჰენრიხ მეექვსე, რიჩარდ მესამე, და ჰენრიხ მერვე.—ამ დრამურ ხრონიკებში იხატებოდა მთელი თემური ცხოვრება ანგლიისა; «ტიმონ ათინელში» ცხოვრება ძველი საბერძნეთისა, «კორეოლანში» იული ცეზარში,» ანტონინში და კლეოპატრაში—ცხოვრება ძველი რომაელებისა და ასე ეს დრამები ხატვენ ცნობილ თემობას ყოველთ წარმომდგენელთ სახეში.—« გამლეთში, კაროლ ლირში, მაკბეტში, რომეო და ჟულიეტაში, ოტელოში, ვენეციელ ვაჭარში » ჩუენ ვხედავთ კაცობრიობას და მის გულის თქმას და რადგან ეს ტრაღედიები ახლოს არიან ჩუენზე თავის საზოგადო კაცობრიობის მნიშვნელობითა ჩუენ შაუდგეთ მას.—

## 2 თავი.

ამ ჩემს აღწერაში შექსპირზე არ შევეხები არც ერთს ისტორიულ გამოძიებას მის ტრაღედიის პირებისასა, მე მხოლოდ მსურს თქუენი გაცნობა «კაროლ ლირთან»

«რომეო და დჟულიეტასთან» «მაკბეტთან» ოტელოსთან, ვენეციელ ებრაელთან და ბოლოს გამლეტთან.—გავამკვლევ სრულად ამ პირებს ხასიათით გამოცხადებასა; გაჩვენებთ მათი გულის თქმის გაშლასა და ბოლოს როგორი იდეიები შეუშვა შექსპირმა თავის ტრაღედიებში.— ამ თავში განვიხილოთ ტრაღედიას «კაროლი ლირი» შეუდგეთ მათ.—

გარდავექტაროთ ერთად, ჩემო მკითხველო, სასტიკ ძველ ბრიტანიაში, სადაც მეფობს კაროლი ლირი.—ის ოთხმოცის წლის მეტია, მაგრამ კიდევ არის: ძლიერი, მხნე და შეძლებული. ბუნებით კაროლ ლირი არის სრული სიყუარულისა, მართალ მსაჯულებითა და სიბრძნითა, მაგრამ ამ თჳსებაებს დაბნელებულს მისი სიამაყითა, დავიწყებულს ნიადაგი ბედითა, გონებრიობითა, შეუძლიან მხოლოთ გამოცხადდნენ გაჭირებაში და უბედურობაში, რომლებიც იმორჩილებენ მათ.—არც აქჳს საზღვრები ლირის ძალასა და ბედნიერებასა, ის თჳთქმის ღმერთია თავის ქვეშევრდომებისთჳნ, იმის სახლი წყვავა ქალებითა, ლამაზებითა, რომელთაგან ორი გათხოვილია და მესამე თხოვდება.—ამისთანა პირობაებში მოხუცი კოროლი გრძნობს სრული განსვენების საჭიროებასა.—ის არი დაღალული მართველის საქმიანობითა; ის არი დაღალული მეჯლიშებითა და მონებრიობითა.—ასე შექსპირის ტრაღედია იხსნება სამეფო სასახლის ზალაში, სადაც თჳთონ კაროლი ლირი გჳრგჳნში და ხელში სკიპტრით ამცხადებს თავის სამეფოს გაყოფას სამ ნაწილად.—უმჯობესი და უდიდესი ნაწილი შეხვდება იმის ქალთაგანს,

რომელსაც უფრო უყჳარს კოროლი; თვითოულმა მათგანმა უნდა გამოთქჳან თავის სიყჳარული ლირის-კარის და სამეფოს ხარისხოვან კაცებთან.—

კოროლმა ლირმა გაატარა მთელი თავისი ცხოვრება დიდის დიდებით და ამისთჳს იმას ჰსურს იმის დიდივე დიდებით გათავება.—ორი ქალები «გონერილია» და «რეგანა» პირ მოფერებითის სიტყვებით უფენენ თავის საყჳარელს კოროლსა.—მერე ლირი უბრუნდება თავის მესამე ქალს კორდელიას: «აბა ჩემო შვილო, რას იტყჳ შენ, რომ გიმსახურო უმჯობესი ნაწილი დებზე.» მორცხვი, სრული თავის სიყჳარულითა და მორჩილებითა კორდელია ვერ პოულობს უხვ ფრაზებს და უპასუხებს: «არაფერს, კელმწიფეო.»—არაფერს? კითხავს ლირი.—ეს სწორი და პატიოსანი ქალი, მორცხვი ნატურა ვერ პოულობს რა თავის თავში უხვ ფრაზებს, უგებს პასუხათ: «მიყჳარხარ ისე, როგორც შეუბნება ჩემი ვალი.»—მოხუცი კოროლი გახელებული ქსრეთი სისწორითა, უწყებს უკუდრებას თავის საყჳარელს შვილს, ართმევს სამკვიდრებელს იმ ქალს, რომელიც ამტელ ხანს იყო მზრუფვას მის მოხუცებულობის სვეტად.—

კორდელია არის დამდაბლებული და შერცხვენილი თავის საქრმოებისაგან, რომელთაგან რჩება იმის სარწმუნოთ საფრანგეთის კოროლი და აძლევს თავის ჴელს და გულსა.—კორდელის სამკვიდრებელი გაიყო ორ დებს შუა, გჳრგჳნი მისცეს სიძეებს, კორდელია არის გაგდებული მამის უკურთხათ. დერცოლები და ვეზირები იშლებიან, სჯიან რა კოროლის მოქცევასა უნცროს ქალ-

თან.—შეეძლო ლირს სხვების მოქცევა? ლირი არი. «კო-როლი თავიდან ფეხებამდე».—ლირის წინაშე ყველანი ართოდენ, შეეძლო სხვებ მოქცევა? კაცი დაყენებული მაღლა იმის გარეშემომხვეველს საზოგადოებაზე, ივიწყებს ყოველთჳს იმის გარეშემომხვეველ ტანჯულებას და თვითქმის კეთილ გულობასა, ამისათჳს, რომ დაყენებულია ყველაზე და მთელს კაცობრიობაზე მაღლა, და ამიტომ მას ივიწყებს:—ლირი სრულებით არ არი ბოროტი, როგორც უნახამთ მერე მწინამდეგ ამისა, შეყრილი ერთად—სიყუ̂არული, კეთილ გულობა, და ყველა ზნეობითნი ღირსებაები; მარამ იმათ ჯერ სძინავთ—დამარხებულნი არიან გარეშემოხვეველნი შონებისგან; როგორ შეუძლიანთ ამ გრძნობებს გამოცხადება კაცში, თუ არ არის მას ზედ მოწოდებულობა და თჳთ კაცი არა გრძნობს საჭიროებას მათში გარეშემომხვეველის საზოგადოების გავლენის გამო.—ლირი, რომელიც სცხოვრებდა გამოჩინებულად და მეფურად და მძლავრებ, უნდოდა გაებედა უარჭყოფა იმის ბრძანებისა და უცებ კარდელიას არ ისურვა გამოეთქუ̂ა უხვათ თავის სიყვარულისა კორდელის წინაშე.—

ოხ! ლირი გაშმაგებული არის, სურვილის აუსრულებლობისათჳს და ამისთჳს დესპოტურ გრძნობის სნეულობაში აროიმევს კორდელიას სამკვიდრებელს და აგდებს სახლიდამ.—ასე ათავებს ლირი თავის კაროლიურს ბედსა. თჳთონ თავის სვიტით მიდის თავის უფროს ქალთან—გენერილია ალბანელთან.—მე უნდა ვსთქუ̂ა, გენერილია, რომელმაც ისე უხვად დაუფინა თავის სიყუ̂არული ლირსა,

ეხლა მძიმდება ლირითა; იმას ის აღარ უყურებს, იმას ჰსძულს იმის სვიტა, რომლის ნახევარ თითონ ითხოვს და ჩამოკიდებულ პირველ შემთხვევაზე ბედავს თავის კეთილ მოქმედ-მამისთჳს შეუპოვრათ და ხაშმიანი სიტყვებით გაწყრომასა.—ლირი ხედავს საძაგელობას და სიმდაბლეს თავის ქალისას.—დახედეთ სადამდისინ შედის რისხვა დამდაბლებულის კოროლისა:

«წყეული იყოს! მრავალ სულებო!
«შეკაზმეთ ცხენი! უწოდეთ მონათ!
«წყეული იყოს შთამომავლობა!
«ჩუენ გვყავს კიდევ ერთი სხუა შვილი!
«კეთილ ღვთაებავ! ისმინე ჩემი!
«თუ ამისგან არს რიგი შვილობის,
«გადასწყვიტე თქუენ გამოცვლა იმის!»

ლირის წყრომა მიდის უკანასკნელ საზღვრამდი კაცობრიობის წყრომისა.—მთელ თავის სიცოცხლეში კაროლ-ლირს პირველჯერ ჰხვდება გამოცხადებული შეურაცხყოფობა, ისიც ვისგან? თავის შვილისგან, რომელსაც მისცა სამკვიდრებელი და უძლურესი სამეუფო თჳსი. ლირი საშინელი არის თავის რისხვაში, მამობრიული გული მისი საშინელად არის მოწყლული ამ ბავშური უბედურებითა. ლირი ტოვებს წყევითგენერილისას და მიდის მეორე ქალთან რეგან კორნეალისთან, მაგრამ აქაც უსიამოვნო სურათი ხვდება ლირს.—რეგანა—მისი მეორე ქალი კიდევ უფრო ბოროტი და უმადური არის პირველზე.—ის პირ და პირ უარს ჰყოფს თავის მამას და აგდებს უფროს დასთან.—ოხ! ღმერთო ჩემო, გული სქდება საშინელე-

ბისაგან, მიხედამდა რა ლირის მდგომარეობას ბრიტანიის მფლობელისას, რომლის ბრძანება იყო სჯათ და შეცრათ ართმევენ ამისთანა კაცს ღამე გასათევ ადგილს ანუ ბინასა? განა მკვდრი თავის ქალი. საშინელი სცენა არის! ლირი არის ერთი ქვეყანაზე, სუყოველიფერი დაიღუპა მისთჳს.—სასტიკ ღამეში ის სტოვებს რეგანის დარბაზს, ჭიშკარი დარბაზისა იკეტება შეურაცყოფილი მშობლისთჳს. სად უნდა წავიდეს ისა ქალებიდგან? ამ ორმა გველებმა გამოაგდეს ისა. ლირი სავსეა ტანჯულებით; ჭკუა აქვს აღელვებული უკაცობრივის იმის ტანჯულებითა. სად წავიდეს? და აჲა ლირი თავის მასხარათი, რომელიც მხოლოდ ერთი არ შორდება იმას იმყოფება მინდორში, ნიაღვარ ქვეშ. ლირს ამოდის თავის შეურაცხყოფილი სულის სიღრმიდან საყვარელი სიტყვები.»

«იქუშე ქარო! და მერე მწყველად!
ოხ ელვარებავ წინათ მაცნობო,
მძიმე ისრისა ქუხილისასა
და მუხებისა შემუსვრელებო?
დამეცით ჰსწორეთ ჭაღარა თავზედ.
ქუხილო ცისავ! ყოვლის შემკრთებო
დააქციე სულ მთელი ბუნება,
და მიმოფანტე ქარით ჰაერში,
თესლი შობილი უმადურ ხალხში!

იტყჳს რა, და გამოსთქვამს მთელ თავის წყევლას მის ხელში დაგუბებულს, ლირი გამოცხადება ბევრად მაღალი ვინემ იყო თავის სამკვდრო ტახტზე საშუალ მის ბრთოლვარე მონებში ანუ ქვეშევრდომებში.

დახედეთ იმას როგორ სტირს საწყლებისთჳს და ამბობს: ვინ დაგიჭირავსთ თქუენ საწყლებო, როგორც ცოტას ვფიქრობდი იმაზე მე? ის სტირის თავის უბედურს კორდელიას; ის მზათ არის დაეცეს თავის ქალის წინ და მოდრიკოს დაჭაღროსანებული თავი. ჩუენ წინ აღარ არი ის აჩქარებული მოხუცი, რომელიც დამთვრალი თავის თავის მეუფებითა ეცემოდა ლახვრითა თავის სარწმუნოებასა; აღარ არის ის მამა, რომელიც უარ ჰყოფდა გამოსათხოვარ კორდელიის ალერს. ტანჯულ კაროლში ვხედავთ ჩუენ კაცსა კაცობრიურ გვეოებასებით, სრულს, ზნეობრივ ძრიელ იმოქმედებს კოროლის ორგანიზმზედ. ის აკლდება ჭკუასა, მაგრამ ჭკუას სიტყვებშიაც ის ხატავს ყოველს კაცობრიულ გვეოებასებს თავის პატიოსან ბუნებაში, რომელნიც იყვენ იმასში დახშული გარე შემომხვეველი ცხოვრებითა. კაცი ჰკრთება, საშინელებაში, როცა მოიგონებ კოროლისას: უნუგეშო მინდორში, უჳკლოს, მის მაღლა სიმღერას და ხედავ მის დაჭაღროსანებულს თავის ყვავილებით მოკაზმულს. ამისთანა საშინელ მდგომარეობაში იყო კოროლი ლირი, რომლისაც მდევნულება, მისი საყვარელი კორდელიისამ იპოვეს ისა. კორდელიამ თავის ქმარს ჰსთხოვა (საფრანგეთის კოროლს) რომ გამოუცხადოს დებს ომი მამის შეურაცხყოფლობისათჳსა, ამისთჳს ის თითონ წავიდა ჯარითა დებთან ომის დასაწყებლათ. ლირი მოიყვანს კორდელიასთან კარავში, სარწმუნო მისი ქალი უზის ფეხთით, უგრძნობლივ მწოლარე მამასა უცდის და დაკჳრვებით დაჩერებია თავის საყვარელს მამასა და კითხავს ექიმსა; მი-

თხარი როგორ არის მეფე? ექიმი. ჯერ არ გაუღჳძნია.

კორდელი, «ოხ ცანო კეთილნო, მოეც კურნება,
მძიმე წყლულობას მამი ჩემისას.
მიეც მას ძალა და დაიფარე,
თავის შჳლებით შეწუხებისგან.

ღრმა ძილი ლირისა თავდება, ის იღჳძებს. კორდელია ჰკრთის, ღონობს, მუნჯდება და ბოლოს ჰსწყვეტს გამოთქმას ლირთან: «როგორ გრძნობთ დღეს თქჳენ თავსა? ლირი ვერ სცნობს თავის კორდელიას, ის იხედება გარეშემო გაკჳრვებით და ამბობს: «სად ვარ? მე მეჩუენება ეს ჩემი ქალი კორდელია არის?» კორდელია უპასუხებს: «მე ვარ, მე!» ლირი ინოქებს, კოცნის თავის კორდელიას და ითხოვს შენდობას უწყალო მოქცევისათჳს, იმას უყუარს კორდელია, იმან არ იცის როგორ დაფაროს თავის მოქმედობა იმაზე და ამბობს მხოლოდ: «ნუ მარცხვენთ მე». მოხუცი მოდის გონებაზედ, იმას გარს ეხვევიან სარწმუნო მსახურები.—იმის თავით ჰსტირის იმისი უნცროსი ქალი ანუ მგზავსი ზეციური ანგელოზი, ლირი ამ წუთში, რომლებიც იმან გადმოიტანა. ის ბედნიერია თავის კორდელიასთან, მაგრამ დიდხან არ არის მითჳს ბედნიერება. კორდელიას ჯარი აგებს ომს და ლირი კორდელიით ხვდება მტრებს ტყვედ. იმათ სმენ საპყრობილეში. ლირი არა სწუხს, არა სტირის, «ის ბედნიერი არის მისთჳს, რომ იქნება თავის კორდელიასთან. მაგრამ ეს შჳლი, უკანასკნელი იმედი ამოდენათ დატანჯული ლირისა, ერთმევა იმას მხედართ მთავრის ბძანებით. კორდელია დარჩეს. აქ აღარ მაქჳს მე სიტყვები, ჩემი ხელი

არ არი ღირსი შეხოს იმ სცენას ტრაღედიებისას, სადაც კაროლი ლირი შემორბის და თავის კორდელიის გვამი მირქმული აქვს. ამას არ ჰსჯერა რომა ის მისი საყჳა-რული შჳლი არის მკჳდარი. ის დასცქერის იმას და უყუ-რებს თუ სცემს მაჯა, კოცნის იმასა, რწყავს მის გვამს თავის ცრემლითა და ყრის აღუღებულ მწუხარე გულიდამ ამ ტრაღიკულს სიტყუებს:

დასრჩობილია ეს ჩემი შჳლი,
არა, აღარ აქჳს მას სიცოცხლე!
რისთჳსა სცხოვრობს ძაღლი ან ცხენი,
შენში რომ არ არს სულის თქმა ეხლა.
შენ აღარ მოხვალ არა ოდეს,
არ მობრუნდები, შენ აწ ჩჳენთანა
არაოდესა, არაოდესა!!!

ფერმკრთალი პირი მოხუცისა იხურება; სულთქმა თა-გდება, სიკჳდილი ახლოვდება, მოხუცი ეცემა კორდელიას გვამზე და კჳდება. ან რათ უნდა ეხლა იმას სიცოცხლე უკორდელოთ? ლირი ესრეთის გამოცხადებით დარჩა არა უსამართლო კოროლათ, არამედ საუკუნე მოწამედ კაცათ. ასე მაღლა წარმოგვიდგინა ჩჳენ შექსპირმა კაცი, რომე-ლსაც დავიწყებული ჰქონდა ყოველი გრძნობაები და უნდოდა მხოლოდ მიზეზის მიცემა, რომ გამოცხადებულ ეყვნენ ამ ნაირი შეურაცხმყოფელი ძალითა, როგორიც ჩჳენ ვნახეთ. ესრეთი არის ბუნება კაცობრიობისა; ჩჳენ გვანელებს მეუფება და ჩჳენ გვავიწყდება სჯულიერი სამართლე კაცობრიობისა, რომელსაც ვთელავთ ფეხით არა მიმხედველი იმათი ტკივილისა და ტანჯულებისა და მხო-

ლოდ მაშინ ჩუჱნ, როგორც ლირი, პატივს ვსცემთ და მივიღებთ სჯულიერად, როდესაც სიცოცხლე შეგვამთხვევს მზგავსე. მე წარმოუდგინე ამ თავში მკითხველებს, რამოდენათაც შემეძლო, ხასიათი ლირისა. მე სრულებით არ მაქუს განზრახვა გაგაცნოთ სრულად შეკსპირი და იმისი ტრაღედიები. მე კმაყოფილი ვიქნები, თუ ამ მქრთალის აღწერით განვაღჳძებ ვისმეში სურვილს შექსპირის ახლოდ გაცნობისას. მომავალ თავში ჩუჱნ გარდავსახლდებით ტლანქი ბრიტანიიდამ იტალიაში, კეთილს სუნოვანს ჰაერში,და თავის ლურჯი წმიდა წყლიან,ქვეყანაში, სადა იზდება მურტი და დაფნი, სადა ყვავის ლიმონის წალკოტი, როგორც ამბობს გეინე. აქ ჩუჱნ გავშინჯამთ უბედურს ანთებულს სიყუარულს «რომეო და ჯულიეტასი. შემდეგ გადავალთ კირის კუნძულზედ სადაც დეზდემონა იღუპება ეჭვიანობისაგან ოტელოზედ. შემდეგ გავიხილოთ სულიერი გნება პატივის მოყვარებისა და სხვაობისა რომელიც გამოცხადდება მაკბეტში; შემდეგ გადავიდეთ ძჳრთან ვენეციელურთან, განვიხილოთ მისი ხასიათი და შეხედულობა გარეშე მომხვეველ ქრისტიანებთან. ბოლოს შეუდგებით დანიაში, სადაც უმაწჳლი დანიის პრინცი გამლეტს სურს შური უძიოს მამას სიკჳდილზედ; განვიხილოთ სისუსტე ნებისა კაცში შესადარებლათ გამლეტის ხასიათთან. ეს არის ჩემი განძრახჳა.

(შემდეგ ნომერში იქნება განგრძელება.)

ნიკოლოზ არღუთაშჳლი მხარგრძელი.

1864 წ. ოდესსა.

## სხუა და სხუა ანბავი:

ვილიამ შექსპირი. . . ნიკოლოზ არღუთაშვილი მხარგრძელისა.
სია 1865 წლის ცისკარზედ ხელისმომწერთ.

---

## 1 8 6 5 წლის

### «ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად **6** მან. დამატებით. **7** მან.

სხუა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ **7** მან. დამატებით. **8** მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს ბერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისს.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

«ცისკრის» რედაქციაში ტფილისს.